ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 8 ოქტომბერი, 2020 №211 (8475) ფასი: 60 თეთრი

პროკურატურამ დავით გარეჯის საქმეზე ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა დააკავა

ივერი მელაშვილი თავის დაკავებას პოლიტიკურ მოტივებს უკავშირებს გვ.5

ირაკლი ოქრუაშვილი: „მეორე ტურის ჩემსა და სერგეენკოს შორის იქნება“

„თუ ისევ იქნება „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ და საბნის თავისკენ გადაქაჩვა, ვერაფერს შევძლებთ“ გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „ქართულ ოცნებას“ სააკაშვილის ჩრდილის ეშინია“ გვ.3

გედევან ფოფხაძე: „მთავრობა კარანტინში მყოფი მოსახლეობის უფლებებს არღვევს“ გვ.3

„ხალხს ცოტათი მაინც ეშინია ჩემთან შეხვედრის, ჰგონიათ, რადგან კორონა მქონდა, რაღაც საფრთხის მატარებელი ვარ“

თეიგიზ ლიხამინჯია: „ოცნების“, ნაციონალებისა და „ლელოს“ სიებში 60-ზე მეტი მილიონერია“ გვ.4

„ქართველი დედა-შვილი მოვკალი და ცხედრები დავანანევრე“ გვ.5

საბერძნეთში 13 წლის წინანდელი მკვლელობისთვის პაკისტანელები დააკავეს

ლევან ჩაჩუა: „მალე დამშეული ხალხი პურის დარიგების მოთხოვნით გამოვა“ გვ.4

ISSN 1987-9385

5 ქალმა 30 წლის კაცი თოფით მოკლა
რა მოხდა იორმუღანლოში

2 ალეკო ელისაშვილი: „პირდაპირ ვეტყვი მაღლობას ბიძინა ივანიშვილს იპოდრომის დაბრუნებისთვის“

2 „მინიმალური ხელფასი 540 ლარი უნდა იყოს“

6 სომხეთი: „მთიანი ყარაბაღის არმიამ აზერბაიჯანის საწვავის ბაზა გაანადგურა“

ირაკლი ოქრუაშვილი: „მეორე ტური ჩემსა და სერგეევიკოს შორის იქნება“

„გუბაზ სანიკიძე რასაც წარმოადგენს, ყველამ კარგად იცის“

იაგო ნაცვლიშვილი

საარჩევნო კამპანია ცივილიზებული ფორმებით მიმდინარეობს თუ ისევ არის შანტაჟის, დაშინებისა და მოსყიდვის ფაქტები? აღიქვამს თუ არა იპოდრომის თბილისელებისთვის დაბრუნებას მოსყიდვის ფაქტად? რატომ ფიქრობს, რომ ივანიშვილს 31 ოქტომბერს ხელისუფლების დათმობა მოუწევს? შეუშალა თუ არა ხელი საარჩევნო კამპანიაში ციხეში ყოფნამ? რას ფიქრობს ციხეში ყოფნის დროს პარტიიდან მისი ყოფილი თანამებრძოლების წასვლაზე? — ამ და სხვა აქტუალურ კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი და ოპოზიციის საერთო კანდიდატი საბურთალოს მაჟორიტარულ ოლქში ირაკლი ოქრუაშვილი საუბრობს.

– არაერთხელ გაგიკეთებიათ განცხადება, რომ სურვილი გაქვთ, საარჩევნო კამპანია ცივილიზებულად ჩატარდეს. დღეს ასე მიმდინარეობს კამპანია თუ რა სურათს ხედავთ?

– საბურთალოს თუ გულისხმობთ, ეს ოლქი გამორჩეულია და არანაირი ექსცესებით არ არის დატვირთული. დანარჩენს რაც შეეხება, მარნეულიდან დაწყებული, სხვა რეგიონებით გაგრძელებული, ისევ დაშინება და მოსყიდვაა, ისევ სახელისუფლებო და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება ხდება. მოკლედ, არაფერი ახალი და ცივილიზებული არ ხდება.

– მოსყიდვაში რას გულისხმობთ, რამე კონკრეტულ ფაქტებზე ხომ არ გაქვთ ინფორმაცია?

– არა, დაპირებები მაქვს მხედველობაში, იპოდრომის მოქალაქეებისთვის გადაცემაზე გაცემული დაპირებით დაწყებული. ეს ფაქტი მოსყიდვის მთელი ნიშნებით არის დატვირთული, ისევე, როგორც ადამიანებს ჰპირდებიან სხვადასხვა სახის მატერიალურ სიკეთეს.

– იპოდრომის თემა თქვენ აღიქვით პირდაპირ მოსყიდვად მაშინ, როცა არჩევნებამდე 1 თვეც არ არის დარჩენილი?

– როდესაც ადამიანი 8 წელია ამ ტერიტორიის მესაკუთრე და ამ 8 წლის განმავლობაში აბსოლუტურად არაფერი გაუკეთებია, არჩევნების წინ კი ამბობს, რომ მას გადასცემს მოქალაქეებს, ეს სხვას რას ნიშნავს?! მათ შორის, მას შემდეგ, რაც მე ვახსენე, რომ არჩევნების შემდეგ სახელმწიფო ამას გამოისყიდდა კონსტიტუციით სავალდებულო წესით. განსაკუთრებით ეს იგრძნობა იმ ფონზე, რომ თბილისში მეტად სავალალოა ხელისუფლების რეიტინგი. ალბათ, ჩათვალეს, რომ იოლად გავიდოდნენ ფონს.

– ასე გგონიათ, რომ თქვენი განცხადება იყო ამის ინსპირაციის წყარო თუ, უბრალოდ, დაგეგმილი ჰქონდათ ისედაც, რომ არჩევნების წინ გაეკეთებინათ ეს?

– არასდროს არაფერი მსგავსი არ უხსენებიათ, რომ მათ დაგეგმილი ჰქონდათ რაღაცის დაბრუნება. ივანიშვილს რომ მისი ქალაქისთვის დაბრუნება სდომებოდა, 8 წლის განმავლობაში ერთ განცხადებას მაინც გაავრცელებდა. არ არის გამორიცხული, ხვალ ლაგუნა ვერესთან დაკავშირებითაც იგივე გააკეთოს. მაგრამ მთავარია, რომ მან უნდა დაუბრუნოს ხალხს ყველაზე ფასეული, ძვირადღირებული და მნიშვნელოვანი რაღაც, რაც მიითვისა ამ წლების განმავლობაში. ეს

„თუ ისევ იქნება „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ და საბნის თავისკენ გადაქაჩვა, ვერაფერს შევძლებთ“

არის ძალაუფლება. დარწმუნებული ვარ, ხალხის ძალისხმევის შედეგად ის ამას გააკეთებს 31 ოქტომბერს.

– რა გაძლევთ ამის რწმენას?

– ცვლილებების აუცილებლობა და მოთხოვნილება, რაც უკვე დიდი ხანია იგრძნობა ჩვენს საზოგადოებაში.

– თუმცა რეალობა პირიქითაა, ისინი ებღაუჭებიან ძალაუფლებას.

– არავინ ამბობს არჩევნების წინ, რომ არჩევნებს აგებს. არსად მომხდარა ასეთი რამე და, ბუნებრივია, არც ისინი არიან გამონაკლისები, აცხადებენ, რომ 60%-ს აიღებენ, მაგრამ ყოველთვის ასეთი იყო მათი პროგნოზები, იქნებოდა ეს საპრეზიდენტო არჩევნები, ადგილობრივი თუ სხვა. ასახელებდნენ მაღალ რიცხვებს და იღებდნენ იმის ნახევარს. ახლაც დაახლოებით იგივე მოხდება. ხალხში რა განწყობაც არის, ყველამ კარგად ვიცით.

– გასაგებია ხალხის განწყობა, მაგრამ მეორეა ის ძალადობა და მოსყიდვა, რაც ახსენეთ. არ გაქვთ მოლოდინი, რომ არჩევნებზე ეს ფაქტორები კიდევ უფრო მძლავრად იქნება ამუშავებული?

– აამუშავებენ ამას განსაკუთრებული დოზით და შესაბამის რეაქციასაც მიიღებენ არა მხოლოდ ჩვენი საზოგადოების, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდანაც. ეს არჩევნები არის ძალიან მნიშვნელოვანი, როგორც ეს ბრძანა ბატონმა კუბილიუსმა 6 ოქტომბერს. იქნება ისეთი ძალადობა, რაც იყო 2018 წელს? – ბუნებრივია, ამ არჩევნებთან დაკავშირებით იქნება ბევრი კითხვის ნიშანი. თუ ისე იზამენ, რომ არჩევნების ლეგიტიმურობა საერთოდ ეჭვქვეშ დააყენონ, ესეც მათი გადასაწყვეტია. დაიზიანებენ საკუთარ თავს და დააზიანებენ ქვეყანასაც, რითიც ისევ საკუთარ თავს დააზარალებენ.

– ეს კამპანია, რომელიც ისევ ამოქოქეს, აღარ იმუშავებს? ისევ ორპოლუსიანობის განცდა ხომ არ არის საზოგადოებაში?

– მათ ამის მცდელობა აქვთ, მაგრამ საზოგადოებაში აღარ არის იმის შიში, რომ თუ „ოცნებას“ არ აირჩევენ, წინა ხელისუფლება მობრუნდება. ამ არჩევნებზე პარტიების მრავალფეროვნებაა, რაც ამომრჩეველს აძლევს საშუალებას, არჩევანი გააკეთოს არა ერთს ან მეორეს შორის, არამედ ბევრს შორის. ეს ორპოლუსიანობა გამქრალია და, დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო გაქრება.

საკითხი დგას ასე – ვერც ერთი პარტია ვერ დააკომპლექტებს მთავრობას დამოუკიდებლად. ეს არის დღევანდელი რეალობა და მას ვერსად გავექცევით. შემდეგი მთავრობა იქნება კოალიციური, კოალიციური პასუხისმგებლობით. რაც მეტი პატარა პარტია მოხვდება პარლამენტში და რაც მეტად დაბალანსდება ძალაუფლება, რომელიც თავმოყრილია ხოლმე ერთი პიროვნებისა თუ ერთი პარტიის შიგნით, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის, იმიტომ, რომ ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ კოალიციურ მმართველობაზე უნდა გადავიდეთ, რისი გამოცდილებაც დღემდე არ გვქონია.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ალეკო ელისაშვილი: „პირდაპირ ვეტყვი მადლობას ბიძინა ივანიშვილს იპოდრომის დაბრუნებისთვის“

პარლამენტის საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი პარტიიდან „მოქალაქეები“, ალექსანდრე ელისაშვილი, დღის კურიერის ეთერში იმ მთავარ გამოწვევაზე საუბრობს, რომელიც კონკრეტულად საბურთალოს წინაშე დგას. ის ამბობს, რომ მთავარი პრობლემა ბეტონის ჯუნგლებია, რომელმაც საბურთალო საკმაოდ დააზარალა.

აქვე, ალეკო ელისაშვილი იპოდრომის ტერიტორიის დაბრუნებას დადებითად აფასებს.

– მიუხედავად დანაკარგებისა, მიუხედავად ხარვეზებისა, საბურთალოს აქვს რესურსი, რომ იყოს კომფორტული და მოხერხებული უბანი. მე არ მერიდება, პირდაპირ ვეტყვი მადლობას ბიძინა ივანიშვილს იპოდრომის დაბრუნებისთვის, არანაირი პრობლემა არ მაქვს. მართალია, თავის დროზე იყო ჯოჯოხეთური, უმსგავსო საქციელი უგულავას მხრიდან, როდესაც გაყიდა ქალაქისთვის ასეთი მნიშვნელოვანი სივრცე. ეს იყო ბოროტება, ქალაქის წინააღმდეგ ჩადენილი, მაგრამ, რომ დაბრუნდა, ძალიან კარგია. ეს არის ხალხის წინააღმდეგობის შედეგი. ნახა ივანიშვილმა, რომ საბურთალოელები არ ირჩევენ სერგეევიკოს. „ქართული ოცნების“ კანდიდატს აქვს ნული შანსი, რომ პირველ ტურში არჩევნები მოიგოს, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

ალეკო ელისაშვილი სატრანსპორტო კომუნიკაციის პრობლემაზეც და მათ შორის, მეტროს ხაზზეც საუბრობს. პარლამენტის საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ტრამვაის ხაზის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

– ძალიან მარტივია, 7 კმ-იანი ტრამვაის ხაზი არის გამოსაყვანი დიდი დიღმიდან დიდუბის მეტრომდე. 20-25 წუთში შეიძლება ადამიანი აღმოჩნდეს დიდი დიღმიდან ქალაქის ცენტრში, – ამბობს ალეკო ელისაშვილი.

„მინიმალური ხელფასი 540 ლარი უნდა იყოს“

რას ითხოვს ლევან გოგიჩაიშვილი

პარლამენტის საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი „ჩვენი საქართველო – სოლიდარობის ალიანსიდან“ ლევან გოგიჩაიშვილი იმ საკითხებზე საუბრობს, რომლებსაც ამომრჩეველს გამარჯვების შემთხვევაში ჰპირდება.

ლევან გოგიჩაიშვილი პირველ კომპონენტად კორუფციასთან ბრძოლას ასახელებს, ასევე ამბობს, რომ უნდა მოხდეს მინიმალური ხელფასის 540 ლარამდე გაზრდა და შემდგომ მისი ფიქსაცია.

– 31 ოქტომბრის მეორე დღიდან ჩვენ უნდა დავიწყოთ უკვე თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადება. ამიტომ, ყველაზე მთავარი რაც არის ამ შემთხვევაში, ეს არის ბრძოლა კორუფციასთან.

ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაცია ფიქრობს, რომ მიდგომებია შესაცვლელი. კონკრეტული პუნქტები ჩვენი საარჩევნო პროგრამიდან შემოძლია რამდენიმე დაგისახელოთ – ეს არის მინიმალური ხელფასი 540 ლარი. უნდა მოხდეს ამის ფიქსაცია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებლად უნდა შეიქმნას ეკონომიკური განვითარების ბანკი, რომელიც იქნება ორიენტირებული გრძელვადიან დაბალპროცენტიან ბიზნესსესხებზე...

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ადამიანების, რომლებსაც აქვთ 1.000 ლარამდე ხელფასი, საშემოსავლო გადასახადი შევამციროთ 10%-მდე, 1.000-დან 1.500 ლარამდე ვისაც აქვს, გადასახადი შევამციროთ 13%-მდე, – ამბობს ლევან გოგიჩაიშვილი.

ოპოზიცია ხმების დაცვისთვის ემზადება

ოპოზიცია არჩევნებზე მიღებული ხმების დაცვისთვის ემზადება. „სტრატეგია აღმაშენებლის“ ოფისში შეკრებილი ოპოზიციის გადაწყვეტილებით, სპეციალური სისტემა შეიქმნება, სადაც კენჭისყრის დღეს არსებული დარღვევების გამოქვეყნება იქნება შესაძლებელი.

– აიქლაუდის სისტემაში ატვირთული იქნება ყველა ის დარღვევა, რომლებიც იქნება უბანზე. ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელმა, რომელიც იქნება უბანზე და ოლქში, ამ სისტემაში უნდა ატვირთოს ის დარღვევები, ის ქმედებები, რომლებიც განხორციელებული იქნება ოპოზიციის წინააღმდეგ.

ცენტრალურ შტაბში იქნება „სტრატეგია აღმაშენებლის“ წარმომადგენელი, რომელიც ონლაინრეჟიმში სპეციალურ ეკრანზე ატვირთავს დარღვევებს და ეს იქნება ხელმისაწვდომი ყველა ჟურნალისტისთვის, – განაცხადა „საქართველოს ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარე პაატა დავითაიამ.

კახეთში 2 უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოვარდა

გუშინ, 7 ოქტომბერს, საღამოს, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სანავარდოში ვენახში ჭურვი ჩამოვარდა.

„მთავარ არხთან“ ადგილობრივი ამბობს, რომ აფეთქების ხმა იყო. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

კახეთში ჭურვის ჩამოვარდნის შემდეგ „მთავარმა“ გაარკვია, რომ სასაზღვრო სოფელ უდაბნოში გაურკვეველი საფრენი აპარატის ნამსხვრევები ჩამოვარდა. ადგილობრივების ინფორმაციით, ნამსხვრევები დრონის ძრავას ჰგავს, თუმცა, შესაძლოა, პატარა ზომის სადაზვერვო უპილოტო საფრენი აპარატისაც იყოს.

შსს ადასტურებს კახეთში ორი უპილოტო საფრენი აპარატის ჩამოვარდნას. უწყების ინფორმაციით, გამოძიება დაწყებულია.

„შინაგან საქმეთა სამინისტროში კახეთში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოსა და ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სანავარდოს მიმდებარე ტერიტორიებზე უპილოტო საფრენი ორი აპარატის ჩამოვარდნის შესახებ შეტყობინება მიმდინარე წელს 7 ოქტომბერს, დაახლოებით 18:35 და 18:45 წუთებზე შემოვიდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაუყოვნებლივ დაიწყო საგამოძიებო ღონისძიებები.

მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა.

შემთხვევის ორივე ადგილზე სამართალდამცველები არიან მობილიზებული. ექსპერტ-კრიმინალისტები ატარებენ შესაბამის ღონისძიებებს“, – წერია განცხადებაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მთავრობა კარანტინში მყოფი მოსახლეობის უფლებებს არღვევს“

გედევან ფოფხაძე: „ხალხს ცოტათი მაინც ეშინია ჩემთან შეხვედრის, ჰგონიათ, რადგან კორონა მქონდა, რაღაც საფრთხის მატარებელი ვარ“

ნათია ხურცილავა

„ჩვენი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, პრემიერმა განაცხადა, რომ თვითიზოლაციასა და საკარანტინო ზონებში მყოფი ადამიანების რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული, მიიღებენ თუ არა ისინი არჩევნებში მონაწილეობას. თუ ვერ მიიღებენ, დაირღვევა მათი უფლება?

– რა თქმა უნდა, დაირღვევა! ეს არის ადამიანის პირდაპირი დისკრიმინაცია ჯანმრთელობის ნიშნით. ყველას უნდა ესმოდეს, რომ ავადმყოფობის ნიშნით დისკრიმინაციის ფონზე ჩატარებული არჩევნები ვერ იქნება ლეგიტიმური. ამიტომ სახელმწიფომ ფორმა უნდა გამოძებნოს, რომ ამ ადამიანებმა არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ. აქამდე კლასიკური ფორმა იყო გადასატანი ყუთი. კეთილი ინებონ და რაღაც ფორმა გამოძებნონ, რომ ამ ადამიანების უფლებები არ დაირღვეს. ვინმე ავად რომ არის, ეს იმას ნიშნავს, რომ ამის გამო საარჩევნო ხმის უფლება ჩამოართვათ?!

საერთოდ გაუგებარია რაოდენობაზე აქცენტის გაკეთება. ერთი ადამიანიც რომ იყოს, მისი უფლება უნდა დაირღვეს?!

პირად მაგალითზე შემიძლია გითხრათ, როგორ დაირღვა ჩემი უფლება, როგორც მაჟორიტარი კანდიდატის. გასაგები მიზეზების გამო ერთი თვე ვიყავი სავალდებულო იზოლაციაში საზოგადოებისგან. ვერავინ მოიფიქრა, ვერც სახელმწიფომ, როგორ გამოეცხადებინა ჩვენთვის ან უფრო მეტი სოლიდარობა, ან მხარდაჭერა. რამდენიმე ტელევიზიამ გამოგვიცხადა ადამიანური სოლიდარობა, რომ ამომრჩეველთან რაღაცნაირი კომუნიკაცია, საჯარო აქტიურობის შესაძლებლობა გვქონოდა.

– რამდენად არის მზად ჯანდაცვის სისტემა მეორე ტალღისთვის, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

– ჯანდაცვის სისტემის რაღაც ნაწილი, რომელიც მორგებულია ამ პროფილს, მაგალითად, ბოჭორიშვილის კლინიკა, სადაც ბოლოს ვიმყოფებოდი, მაღალი სტანდარტის არის, რასაც ვერ ვიტყვი რესპუბლიკურ საავადმყოფოზე, რომელშიც თავიდან მოვხვდი.

მთლიანობაში, არ ვფიქრობ, რომ ჯანდაცვის სისტემა მზად არის დიდი რაოდენობის პაციენტების მისაღებად. 3-4 ათასი საწოლი მზად გვაქვს! – ვფიქრობ, უფრო პროპაგანდას ემსახურება. მე ვნახე, რა პირობები იყო რესპუბლიკურ საავადმყოფოში და ამის შესახებ ღიად ვისაუბრე, როგორც პოლიტიკოსმა, რაზეც ჯანდაცვის მინისტრი გამომეხმაურა – 5-ვარსკვლავიან სასტუმროში ხომ არ გინდოდათ! ჩემთვის დიდი კომფორტი აუცილებლობას არ წარმოადგენს, მაგრამ ავადმყოფის ელემენტარულ პირობებსა და ყურადღებაზეა საუბარი. ინფიცირებული და არაინფიცირებული საერთო სველ წერტილში არ უნდა ხვდებოდნენ, რაც ხდებოდა რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

ჩემი კრიტიკა თუნდაც იმით იყო განპირობებული, რომ მე, როგორც დეპუტატი, 6 წელი ჯანდაცვის ბიუჯეტს ხმას ვაძლევდი. ვერ მივიღებ კრიტიკას იმ ჯანდაცვის მინისტრისგან, რომელიც ჩემმა ფრაქციამ არაერთხელ დაიბარა პარლამენტში და არც ერთხელ არ მოვიდა. როდესაც მოვიდა პარლამენტში, დეპუტატების კითხვებს მოკარნახეებითა და სუფლიორების დახმარებით პასუხობდა.

– თუ განაახლეთ კამპანია, ამომრჩევლებს თუ ხვდებით?

– დიახ, შეხვედრები დავიწყეთ. ხალხს ცოტათი მაინც ეშინია ჩემთან შეხვედრის, ჰგონიათ, რადგან კორონა მქონდა, რაღაც საფრთხის მატარებელი ვარ. ორგანიზაციულად შტაბი მაინც ვერ არის გამართული. თუმცა მე მაინც იმედიანად ვარ, რომ „ჩვენი საქართველო“ ამ არჩევნებში იტყვის თავის სიტყვას.

– კოალიციურ მთავრობას თუ ელოდებით და აქ რა როლი გექნებათ?

– კოალიციური კი არა, სახალხო მთავრობა უნდა შეიქმნას. აქ განსხვავება ის არის, რომ შეთანხმება უნდა მოხდეს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე ხალხის მონაწილეობით და არა კვოტებსა და სამინისტროებზე. ვერ შევალ გარიგებაში, სადაც საუბარი იქნება – ეკონომიკის სამინისტროს ჩვენ წავიღებთ, სოფლის მეურნეობის სამინისტრო თქვენი იყოს! მხოლოდ ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გაფორმდეს ყველა გარიგება. კლეპტოკრატიული ჯგუფები თუ შევლენ პარლამენტში უმრავლესობაში, მაშინ ჩვენი ადგილი მხოლოდ ოპოზიციაში იქნება. ასე უფრო ლოგიკურია.

– დაინფიცირებულების რაოდენობა იზრდება, 500 გადასცდა, თუმცა ამ ფონზე განსაკუთრებული ზომების მიღებაზე არ არის საუბარი, მაშინ როდესაც 20 შემთხვევაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. თქვენ რით ხსნით, არჩევნებს უკავშირებთ?

– ორიგინალური ვერ ვიქნები, რადგან იმდენად ეწინააღმდეგება პირველი ტალღის მიმართ დამოკიდებულებას ახლანდელი დამოკიდებულება, რომ აქ ლოგიკის პოვნა ძალიან რთულია. თუ 100 ადამიანის დაინფიცირების შემთხვევაში ქვეყანა იკეტება, 500 გამოვლენილზე რაღაც ისეთი რეგულაცია მაინც უნდა ამოქმედდეს, რომ ეს ვითარება არ გააუარესოს მაინც. საბოლოო ჯამში, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ პირველი ტალღის დროს მიღებული რეგულაციები იყო გადაჭარბებული.

არასწორი პროპაგანდის შედეგად დაითესა შიში. შიშსა და სიფრთხილეს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. ხელისუფლებამ ამჯობინა, რომ ეს პროპაგანდა ხალხის დაშინებით წაეყვანა. არადა, საჭირო იყო სიფრთხილეზე ორიენტირება. ყოველდღე საომარი მოქმედებების ქრონიკის გამოცხადება არ იყო საჭირო. ამ ქვეყანაში ამდენი ადამიანი გარდაიცვალა, იმ ქვეყანაში – იმდენი. ბევრად უფრო სწორი იქნებოდა იმაზე საუბარი, თუ როგორ გამოეჩინა ხალხს მეტი სიფრთხილე, რათა თავიდან აეცილებინათ დაინფიცირება. შიში ცუდი მოკავშირეა. შეშინებული ადამიანი ყოველთვის არაადეკვატურია.

– შეშინება რაში აწყობდათ?

– ვფიქრობ, პოლიტიკურ მიზანს უფრო ემსახურებოდა, ვიდრე ჯანდაცვას.

პაატა ზაქარეიშვილი: „ქართულ ოცნებას“ სააკაშვილის ჩრდილის ეშინია“

„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

ნონა ცაბაძე

– ბატონო პაატა, სომხეთ-აზერბაიჯანის ომი სულ უფრო მწვავდება. როგორც კონფლიქტოლოგი, როგორ აფასებთ შექმნილ ვითარებას და ეს ყველაფერი რა ასახვას ჰპოვებს ჩვენზე?

– რა თქმა უნდა, არსებითად დაიძაბა ვითარება. ეს არ არის მორიგი გამწვავება. სიტუაცია მწვავეა და აშკარაა, რომ არსებითად შეიცვლება კავკასიაში მდგომარეობა. 1994 წლის შემდეგ, პრაქტიკულად რომ დასრულდა საომარი მოქმედებები და ახალი რეალობა დადგა ყარაბაღის გამო კავკასიაში, ახლა იცვლება ეს ვითარება და ახალი მოთამაშეები შემოდიან. სომხეთი აშკარად იცვლება, აზერბაიჯანის ჯარი მკაფიოდ გამოკვეთილი გახდა, თურქეთი შემოვიდა თამაშში ცალსახად და ამ პროცესებიდან რუსეთს აშკარად ჩაჩოჩება უწევს. ის ისეთი ძლიერი და ძლევამოსილი აღარ არის, როგორც 2008 წელს დააფიქსირა თავისი თავი.

– ანუ რუსეთის როლი შემცირდა ამ პროცესებში?

– კი, აშკარად შემცირდა.

– ამას რამდენად აიტანს რუსეთი?

– იძულებულია, აიტანოს, სხვა გზა არა აქვს. ეს არის ის რეალობა, როდესაც რუსეთი იძულებულია, ანგარიში გაუწიოს შექმნილ ვითარებას. აშკარად ჩანს ეს ვითარება. ამიტომ ეს არის ყველაზე დიდი გამოწვევა, სადაც უკვე მოთამაშეები ცვლიან თავიანთ როლებს. რუსეთი გადის, ბოლომდე არ გადის, მაგრამ სუსტდება, თურქეთი უკვე მკაფიოდ და თამამად აფიქსირებს თავის პოზიციას და ამბობს, რომ ის დიდი ხნით შემოვიდა და, შეიძლება ითქვას, სამუდამოდაც ანუ თურქეთი იბრუნებს იმ როლს, რომელიც დაკარგა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და უფრო ადრეც, როცა რუსეთმა თურქეთი განდევნა კავკასიიდან. თურქეთი პოზიციებს თანდათან იმყარებს და, რაც მთავარია, ძალან სერიოზული ძვრებია მოსალოდნელი სომხეთში.

– რა სახის ძვრები?

– სომხეთში ხედავენ, რომ რუსეთი არ არის ის ძალა, რომელსაც შეიძლება ენდო. სომხეთმა დასაცავად შეიძლება მოძრაობა დაიწყოს უკვე დასავლეთისაკენ, რადგან აღმოსავლეთში წასასვლელი არსად აქვს. საფრანგეთმა დროულად გააკეთა სომხეთის სასარგებლო განცხადება. შესაძლოა, საფრანგეთმა პასუხისმგებლობის ნაწილი აიღოს სომხეთის დასაცავად და დაიცვას სომხეთი თურქეთისაგან. ამიტომ, არ არის გამორიცხული, დაიწყოს ახალი მოლაპარაკების რაუნდი საფრანგეთის შუამავლობით და სომხეთმა დაიწყოს მოლაპარაკებები თურქეთთან და აზერბაიჯანთან.

– ანუ საფრანგეთი აქტიურად შემოდის ამ პროცესებში?

– საფრანგეთი ადრეც გახლდათ, თუმცა ჩუმად იყო, დღეს კი აქტიურია და რეალურ სიტუაციას ქმნის. რადგან თურქეთი შემოვიდა და რუსეთმა ვერ უპასუხა მკაფიოდ, ამიტომ საფრანგეთმა უპასუხა და ეს კარგია. კარგია იმიტომ, რომ დასავლეთი მეტად არის შემოსული ჩვენთან.

– ჩვენ რამდენად შეიძლება დაგვაზარალოს ამ პროცესებმა? იყო საუბარი, რომ შესაძლოა სერიოზული საფრთხე დაემუქროს მილსადენს. ასეა?

– არა, მილსადენს არანაირი საფრთხე არ ემუქრება. ამაზე არ წავა არავინ, იმიტომ, რომ ეს იქნება სერიოზული გამოწვევა ყველასთვის.

– საქართველომ რა პოზიცია უნდა დაიკავოს ამ სიტუაციაში?

– დღეს საქართველოს მთავარი ამოცანა უნდა იყოს, რომ არც ერთ მხარეს არ შეერიოს. მან მკაფიოდ და ცალსახად უნდა დააფიქსიროს პოზიციები და ეს უნდა იყოს ნეიტრალური, უნდა აღნიშნოს, რომ მისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო სამართლით აღიარებული ტერიტორიები და ყველა ცვლილება უნდა მოხდეს მოლაპარაკებების გზით.

– ამ ფონზე საგრძნობლად გააქტიურდა დავით გარეჯის თემა. ამასთან დაკავშირებით რა შეფასებები გაქვთ?

– სამწუხარო კონტექსტი შექმნა დავით გარეჯის თემის გააქტიურებამ. როგორც ჩანს, ეს დიდი ხანია ჩაფიქრებული იყო. ეს საეჭვო წარმოშობის რუკები და თუ საერთოდ რა არის, ზუსტად არავინ ვიცით, თუმცა, როგორც ჩანს, ეს დიდი ხანია აღმოჩენილია, სულ მცირე, რამდენიმე თვის წინ მაინც. ხელისუფლებამ როცა ეს აღმოაჩინა, როგორ ჩანს, ჩათვალა, უი, რა კარგია, მოდი, ეს გამოვიყენოთ არჩევნების წინ ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგო. დაახლოებით ასე იყო ჩაფიქრებული და დიდი მონდომებით ელოდებოდნენ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებას.

– თუმცა ამას ყარაბაღის კონფლიქტი დაემთხვა...

– დიახ, ამ დროს მოულოდნელად დაიწყო ყარაბაღის ომის ესკალაცია და ეს ძალიან ცუდად გამოჩნდა. დღეს ამ თემის ასე გააქტიურება ცუდად ჩანს. ეს დეტალები აზერბაიჯანში, ბუნებრივია, არ იციან, როგორც ჩვენ ვიცით, რომ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია. ამიტომ აზერბაიჯანში ამას აღიქვამენ, როგორც აზერბაიჯანის წინააღმდეგ განხორციელებულ აქციას სწორედ ყარაბაღის ომის კონტექსტში. იკითხავენ, აქამდე სად იყავით, ახლა რატომ ამოიღეთ ხმაო და ძნელია, აუხსნა მათ, რომ ეს ჩვენი წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია და არა აზერბაიჯანის წინააღმდეგ მიმართული ოპერაცია. ამიტომ საჭირო იყო ამ პროცესის შეჩერება.

– თუმცა არ აჩერებენ...

– გონიერი ადამიანი უნდა გამოვიდეს თქვას, რა დროს ესაა, მოდით, გადავიტანოთ არჩევნების შემდეგო. თუმცა ეს ხელისუფლებას არ აწყობს. მას თვალები აქვს დაბრმავებული, ოღონდ წარმატებას მიაღწიოს ნაცმოძრაობასთან და მზად არიან ყველაფერზე. თვითონ კი ამბობენ, 60% გვაქვსო, მაგრამ, სინამდვილეში, სააკაშვილის ჩრდილს ეშინიათ. სწორედ ამიტომ ცდილობენ გარეჯის თემის ასე მუსირებას და ვერ ხვდებიან, რომ გეოპოლიტიკურ კონტექსტში ეს წამგებიანია საქართველოსათვის. აზერბაიჯანთან კარგ ურთიერთობებს აყოლებენ წინასაარჩევნო კამპანიას და ხელისუფლებაში დარჩენის სურვილს. აქედან ჩანს, რომ ისინი საკუთარ თავზე ფიქრობენ და არა სახელმწიფოზე.

ირაკლი ოქრუაშვილი: „მეორე ტური ჩემსა და სერგეენკოს შორის იქნება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– ალბათ, ატარებთ შიდა კვლევებს პარტიაში. რას გეუბნებათ სურათი, რამდენ პროცენტს ელოდებით პარტიულს და გადიხართ თუ არა პირადად თქვენ მეორე ტურში?

– მეორე ტური აუცილებლად იქნება მე და სერგეენკოს შორის. ამაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ მთავარია კიდევ ერთი რამე – კოალიციური მმართველობისას გაცილებით ადვილი გახდება შესაძლებლობა, თუ ჩვენ საფუძვლად ავიღებთ იმ პრინციპებს, რომლის მეშვეობითაც ქვეყანა უნდა გამოვიყვანოთ ამ ჩიხიდან და ჭაობიდან.

ეს არის გადასახადების შემცირება, ბიზნესისთვის რეგულაციების შემსუბუქება, კარტერული გარიგებებისა და მონოპოლიების სამუდამოდ აღმოფხვრა ბიზნესში, რომელსაც ყველა სახელისუფლო პარტია დროდადრო აჯდებოდა და თავისი პარტიული ელიტისთვის იყენებდა. ეს არის ასევე კორუფციის აღმოფხვრა და კრიმინალის შემცირება. ამის ირგვლივ თუ შევთანხმდებით, გადაჭრილი იქნება ის მთავარი საკითხები, რომლებიც დღეს ჩვენს საზოგადოებას აწუხებს. ეს არის უმუშევრობა, გაზრდილი სიღარიბე, ლარის კატასტროფული დევალვაცია, ფასების მატება.

თუ ამ გეგმას დავდებთ, გაცილებით გაადვილდება ქვეყნის მართვა. თუ ისევ იქნება „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ და საბნის თავისკენ გადაქაჩვა, ვერაფერს შევძლებთ. ბევრ პოლიტიკურ ძალას კარგად აქვს გათავისებული ის, რაზეც ახლა მე ვსაუბრობ.

– საარჩევნო კამპანიაში შეგიშალათ თუ არა ხელი პატიმრობამ და ორგანიზაციული სტრუქტურების გამართვისთვისაც ხომ არ იყო ეს ხელის შემშლელი?

– თავისთავად. 1 წელი დავკარგე ციხეში, მერე დავიწყე ორგანიზაციულ სტრუქტურებზე მუშაობა. დრო უნდა დამეთმო ამომრჩეველთან შეხვედრისათვის, მაგრამ ამას დაემთხვა პანდემია, რომელმაც მთლიანად არია ვითარება. ბუნებრივია, ეს სხვებისთვისაც ხელის შემშლელი იყო. ამომრჩეველთან ურთიერთობა ძირითადად სატელევიზიო თუ სოციალური ქსელების საშუალებით მიწევს. იშვიათია ამომრჩეველთან ინტენსიური შეხვედრები, რაც სხვა არჩევნებს ახასიათებდა. ამანაც გაართულა მდგომარეობა.

თავისთავად, ჩემმა პატიმრობამ გაართულა სიტუაცია. გარდა იმისა, რაც ახსენეთ, რომ ვერ შევქმენი სტრუქტურები, ამომრჩეველთანაც არ მქონდა ურთიერთობის საშუალება, ასევე საკმაოდ მწირი ფინანსური რესურსები, ისე, როგორც სხვებს აქვთ უფასო პოლიტიკური რეკლამა, დაახლოებით 5 მილიონი ლარის, რისი ფუფუნებაც ჩვენ არ გვაქვს. ამის მიუხედავად, პროგნოზი საკმაოდ ოპტიმისტურია.

– ალბათ, გიფიქრიათ, რატომ დაგიჭირეს მაინცდამაინც თქვენ. ხომ არ გგონიათ, რომ ივანიშვილს ამოძრავებდა პირადი შურისძიება თქვენ მიმართ და რა მიზეზით შეიძლება იყოს ეს?

– ეგ კითხვა უნდა დაუსვათ ბიძინა ივანიშვილს. თუ მოგეცემათ ამის საშუალება და მეც გამაგებინებთ, მადლობელი დაგრჩებით.

– თქვენ არ გიფიქრიათ ამაზე?

– იმაზე, რაც არაფრის მომცემი არ არის, დრო არ უნდა დახარჯო.

– თქვენი ციხეში ყოფნის დროს პარტია დატოვა გუბაზ სანიკიძემ. რას ფიქრობთ ამაზე, ან დღეს თუ გაქვთ მასთან ადამიანური ურთიერთობა შენარჩუნებული?

– ყველამ იცის, რასაც წარმოადგენს გუბაზ სანიკიძე არა მარტო პოლიტიკაში, არამედ ცხოვრებაშიც. ასე რომ, მასზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია.

– ნაწყენი ხართ?

– წყენა და სიამოვნება პოლიტიკაში არ არსებობს. რაც შეეხება თანამებრძოლობას, როდესაც გიჭერენ და ადამიანი ზურგს გაქცევს, იმ ადამიანზე კარგს ვერაფერს იტყვი.

ლევან ჩაჩუა: „მალე დამშეული ხალხი პურის დარიგების მოთხოვნით გამოვა“

„უძვირფასეს ბილბორდებზე გამოჭიმული პოლიტიკური ლიდერები დამცინავად დაჰყურებენ გაჭირვებულ მოსახლეობას“

„ქოცტროლები თავს დამესხნენ“

არჩევნებამდე 20 დღეზე ცოტა მეტი დარჩა. საზოგადოებას პარლამენტის არჩევნები აინტერესებს, თუმცა მისთვის მთავარი ლუკმაპურია. კერძო სექტორში დასაქმებული უამრავი ადამიანი უშემოსავლოდ დარჩა. ამ და სხვა თემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.

მარიამ მჭედლიშვილი

– 7 ოქტომბერს პარლამენტის შენობასთან გაიმართა საზოგადოების აქცია მოთხოვნით „მოგვეცით სამუშაო“. ქვეყანაში პანდემიის გამო უმკაცრესი შეზღუდვები არ მოქმედებს, თუმცა შემოსავლის გარეშე დარჩა ბევრი ადამიანი, ზოგს კი პროდუქტების გაძვირების ფონზე შემოსავალი შეუმცირდა. თქვენ რას იტყვით?

– დღევანდელ საქართველოში ადამიანების უმრავლესობის სოციალური მდგომარეობა გაუსაძლისია. წინა წლებშიც იყო სიღუხჭირე, მაგრამ ამჟამად ვითარება კიდევ უფრო უარესია, ვიდრე იყო 5, 10 და 15 წლის წინ. უმუშევრობის დონე გაიზარდა. ადამიანებს უჭირთ შვილების სრულფასოვნად გამოკვება. ამ დროს რას აკეთებენ პოლიტიკოსები?! თითო წინასაარჩევნო ბილბორდში ხარჯავენ ათიათასობით ლარს. ამ ბილბორდებს ამაგრებენ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. იმ დროს, როცა ოჯახები საკვებს ვერ ყიდულობენ, უძვირფასეს ბილბორდებზე გამოჭიმული პოლიტიკური ლიდერები დამცინავად და ზემოდან დაჰყურებენ გაჭირვებულ მოსახლეობას კმაყოფილი, გაღიმებული სახეებით. ტელევიზიებში კიდევ სხვა მარათონია დაწყებული.

– რა მარათონი?

– ერთმანეთში შეთამაშებული პოლიტელიტა ერთმანეთს ეჯიბრება კინკლაობასა და სამთავრობო თუ საპარლამენტო სავარძლების დატაცებაში. ბევრი ადამიანი ამბობს, რომ მობეზრებული აქვს ამ პოლიტელიტის სახეები ტელეეკრანებზე. ტელევიზორი შეიძლება გამორთო, მაგრამ ეს ოდიოზური ფიზიონომიები მათ უკვე ქუჩებშიც არ ასვენებს. თუმცა საზოგადოებამ ჭკუა ისწავლა. ყოველ შემთხვევაში, უნდა ესწავლა ჭკუა.

– რას გულისხმობთ?

– ერთხელ შეიძლება გონიერი კაციც მოტყუვდეს. მთავარია, მერე აღარ გაიმეოროს შეცდომები. უბედურება ისაა, როცა ადამიანები მეორედ, მესამედ ტყუვდებიან და პერმანენტულად ბრიყვდებიან. რომ შეგპირდებიან იაფ ფულს, დასაქმებას, ტარიფების შემცირებას, სამართლიანობის აღდგენას, კიდევ ბევრ რამეს და არ შეასრულებენ, ისევ ცრუ დაპირებები და მატყუარები უნდა აირჩიო?! ჩვენი ერი გონიერია და არ არის იმის ღირსი, რომ ასე გააბრიყვონ. ხომ უნდა მიხვდნენ, რომ იმ დროს, როცა უმრავლესობას ლუკმაპურის პრობლემა აქვს, ერთეულები მილიონებსა და მილიარდებს შოულობენ, ვერ ძღებიან და გატყუებენ?!

– წინა თვეებში „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ითვლებოდა კარგ კრიზისმენეჯერად. საქართველოს ჰქონდა კარგი ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები. ახლა კოვიდინფიცირებულთა რიცხვი ნახტომისებურად გაიზარდა. ამაზე რის თქმა შეიძლება?

– სიახლე არ არის, რომ კოვიდ 19-ს მსოფლიოში ბევრი საკუთარი პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზნებისთვის იყენებს. ვირუსი ნამდვილად არსებობს, მაგრამ მასთან დაკავშირებული პანდემია გაბერილია. საქართველოშიც იყენებენ ამ ვირუსს. კორონავირუსს არც ივანიშვილის შეეშინდება და არც გახარიასი. ეს ხელისუფლება იყენებს ვირუსს და დაავადებულების რაოდენობით მანიპულირებს. მათი რიცხვი ხან პატარაა, ხან იზრდება.

– თუ ციფრებით მანიპულაციაა, არჩევნების წინ რატომ უნდა გაეზარდათ ხელოვნურად რაოდენობა? არ ჯობდა, დაინფიცირებულები ცოტანი ყოფილიყვნენ და ხელისუფლება კარგ კრიზისმენეჯერად წარმოჩენილიყო?

– ხელისუფლებას სხვა ლოგიკა აქვს. ინტერვიუს დასაწყისში სოციალურ მდგომარეობაზე მკითხეთ. სიტუაცია გაუსაძლისია და კიდევ უფრო გაუარესდება. მალე, ალბათ, არჩევნების შემდეგ, დამშეული ხალხი გამოვა პურის დარიგების მოთხოვნით. ამ დროს ხელისუფლება ადგება და გამოაცხადებს კარანტინს, რომელიც აკრძალავს გამოსვლებსა და შეკრებებს. ნაწილობრივ ახლაც არის შეზღუდვები.

– წინასაარჩევნოდ რა ხდება პოლიტიკაში?

– რა უნდა ხდებოდეს! დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალები ყველანაირად დაბლოკილი ვართ. ტელეგადაცემებში ერთმანეთს ეჩხუბებიან ვითომ ერთმანეთთან დაპირისპირებული პარტიები. ამ დროს თითქმის ყველას ბიძინა ივანიშვილი აფინანსებს. ივანიშვილი ოპოზიციიდან ატივტივებს ოდიოზურ ადამიანებს. ისინი დაკავშირებული არიან ძველ ძირგამმპალ რეჟიმთან, რომელიც შევარდნაძემ შექმნა, შემდეგ კი სააკაშვილმა გადმოიბარა. ივანიშვილი ხალხს უმტკიცებს, რომ ოპოზიცია ოდიოზურია და მას „ქართული ოცნება“ სჯობია. მან პარტია ჩააბარა თალაკვაძეს, კობახიძესა და მდინარაძეს. ეს სამეული, მისი გათვლით, გადახალისებული „ქართული ოცნებაა“. ამ სამეულს მცირე გამოცდილებაც დაუგროვდა და თან შედარებით ახალიცაა. ხალხი ამ სამეულს „ნორჩ სოროსელებს“ ეძახის. მმართველ პარტიას კადრები არ ჰყოფნის.

– რატომ ფიქრობთ ასე?

– კადრები რომ ჰყავდეს, ზაურ დარგალს დაასახელებდა მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად?! როცა „ახალ თაობასთან“ წინა ინტერვიუში ვთქვი, რომ ნაციონალური მოძრაობა თავის კანდიდატებს უფრო სწორად და ცბიერად არჩევს, დიდი შეტევები დამატყდა. თავს დამესხნენ უვიცი ქოცტროლები. ისინი ჩემს ციტატებს ავრცელებდნენ და ნაცმოძრაობის ქებას მაბრალებდნენ.

– თქვენ გაბრალებდნენ ნაციონალების ქებას?

– აბსურდია, ნაციონალებთან კავშირი დაბრალო კაცს, რომელიც არაფრის გამო დააპატიმრა სააკაშვილის რეჟიმმა. პარლამენტის მიერ აღიარებული და გათავისუფლებული პოლიტპატიმარი ვარ. სხვებივით იმედი მქონდა, რომ „ოცნება“ დაამყარებდა სამართლიანობას. ამის მაგივრად დამნაშავეები ან არ დასაჯეს, ან დააწინაურეს, ან ციხიდან გამოუშვეს. „ქართულმა ოცნებამ“ დამნაშავეები გააპარპაშა. ჩემი ადვოკატი იყო მანანა კობახიძე, რომელიც რამდენიმეჯერ დაწინაურდა, პროკურორი გიორგი მიქაია, რომელიც ასევე დააწინაურეს. მე და სხვებსაც გვინდოდა სისტემის შეცვლა. სისტემა არ იცვლება.

– თქვენ ადრე ნანუკა ჟორჟოლიანზე საუბრობდით. ნაცმოძრაობამ ცნობილი სახეებიც ჩასვა სიაში.

– დიახ. ბუბა კიკაბიძე ყველასთვის ცნობილი სახეა. მას პუტჩისტობას ედავებიან. კი ბატონო, მაგრამ ასე მთელი ნაცმოძრაობა და „ქართული ოცნება“ მოქალაქეთა კავშირის ბოროტი ფესვებიდან ასული ყლორტებია. ძალიან ბევრს მიუძღვის ბრალი ეროვნული ხელისუფლების დამხობაში.

– სისტემის შეცვლის შანსი არსებობს?

– შევარდნაძემ ეს სისტემა შექმნა, სააკაშვილმა ენერგიულად გააძლიერა და დააკორექტირა, ივანიშვილი მას აგრძელებს. ამ სისტემამ მოსახლეობა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. ხალხი შიმშილობს, უმრავლესობა ქვეყნიდან გაქცევას აპირებს. ეს რომ არ გაგრძელდეს, პარლამენტში უნდა მოვხვდეთ დამოუკიდებელი ეროვნული ძალები. დანარჩენი საზოგადოებაზეა დამოკიდებული.

„ოცნების“, ნაციონალებისა და „ლელოს“ სიებში 60-ზე მეტი მილიონერია“

თენგიზ დიხამინჯია: „ოცნება“ და ნაცმოძრაობა პოლიტიკური მსოფლმხედველობით გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. უფრო მეტიც, შინაარსით ისინი სიამის ტყუპებივით არიან გადაბმული“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია პასუხობს.

– ბატონო თენგიზ, ცხელი წინასაარჩევნო პერიოდია, პოლიტიკურ ბაზარზე ძალიან ბევრი პარტია გამოვიდა. ზოგი ამბობს, საქართველოში პარტიები არ არიანო, მაგრამ ცესკოში 47 პარტია დარეგისტრირდა. თქვენ როგორ აფასებთ მდგომარეობას, როგორი არჩევნები შეიძლება იყოს?

– შეიძლება ითქვას, მდგომარეობა უმძიმესია. „ოცნება“ და ნაცმოძრაობა პოლიტიკური მსოფლმხედველობით გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. უფრო მეტიც, შინაარსით ისინი სიამის ტყუპებივით არიან გადაბმული.

– თუმცა, ფაქტია, რომ დღეს ისინი დაპირისპირებული არიან.

– ერთი შეხედვით, დაპირისპირებული არიან, მაგრამ, სიამის ტყუპებს ოპერაცია რომ ჩაუტარო, 10-დან 9 შემთხვევაში იღუპებიან. ოპერაციას ამიტომ არ ატარებენ.

– ვინ უნდა ჩაატაროს ოპერაცია? ძლიერი მესამე ძალა არ არის.

– ეგენი ასეთ ოპერაციას ერთმანეთში არ ჩაატარებენ. ოპერაცია საზოგადოებამ უნდა ჩაატაროს, ოღონდ ქირურგი ძლიერი და დახვეწილი უნდა იყოს, იმის მსგავსი, ჩვენი თანამემამულე ლეო ბოკერია რომ არის მოსკოვში.

– ოღონდ, მსგავსი ოპერაციის შემდეგ, საზოგადოებას აქაური ბოკერია არ უნდა შერჩეს ხელში.

– იმიტომ დავაკონკრეტე, მოსკოვში მოღვაწე ქირურგის, ლეო ბოკერიას მსგავსი უნდა იყოს, რომელიც სოფი ლორენსა და მის მსგავს ადამიანებს მკურნალობდა. მხოლოდ ასეთ ადამიანს თუ ეკუთვნის ქირურგიული ინსტრუმენტი და ამ ურთულესი ოპერაციის ჩატარება. ახლა ხუმრობის ხასიათზე ვართ, მაგრამ, უფრო რეალურად რომ ვთქვათ, ვითარების გასანეიტრალებლად აუცილებელი იყო მესამე ძალა.

მესამე ძალის დაბადება ხელოვნური, შემთხვევითი და ირაციონალური არ არის. უნდა იყოს გარკვეული მსოფლმხედველობის, კრიზისიდან გამოყვანის უნარის მქონე გუნდი, რომელიც ქვეყანას გამოიყვანს, როგორც კონსტიტუციური, სამართლებრივი, ფინანსურ-ეკონომიკური, საბანკო, ასევე, რაც მთავარია, მოქალაქეობრივი ცნობიერების კრიზისიდან.

ამას მოახერხებს გუნდი, რომელიც თანმიმდევრულია. მისი ცხოვრების წესი, ანუ ისტორია, დღევანდელობა და მომავალი ერთიან ჯაჭვად არის წარმოდგენილი.

– ხუმრობა კი გამოგვდის, მაგრამ, თქვენ რომ ამბობთ, ისეთი ჩვენს ქალაქში მხოლოდ დიმიტრია გელოვანიო, ისე ხომ არ გამოგდით? ასეთი ძალა რეალობაში არ არსებობს.

– არ არსებობს იმიტომ, რომ ყველა პირობა შეიქმნა იმისათვის, ასეთი ძალა არ არსებულიყო. „ოცნების“, ნაციონალებისა და „ლელოს“ (საბანკო პარტია რომ არის და დიდი პრეტენზია აქვს) სიებს რომ გადახედოთ, საზოგადოებამ 60-ზე მეტი მილიონერი დაითვალა, რომლებიც გამსვლელ სიებში ჰყავთ ჩასმული. „ოცნებას“ ორი მინისტრი მილიონერი ჰყავს მინისტრთა კაბინეტში, რაც წარმოუდგენელი რამ არის.

– ვინ ორი მინისტრია მილიონერი?

– მილიონერები დათვლილია. სიმართლე გითხრათ, მე არ დამითვლია, მაგრამ ითქვა, რომ ორი მინისტრია რეგისტრირებული და პროტესტი არ გამოთქმულა. თვითონ გაარკვიონ, მათ საბანკო ანგარიშებში მე არ ვიხედები, ნაციონალებმა ხომ საერთოდ ყველას გადაასწრეს. არ ჩამორჩნენ ამ შეჯიბრებას და „ოცნების“ ჩაგდებული ბანკირები და მეაფთიაქეები, რომლებსაც ასეულობით მილიონი ნაძარცვი ქონება აქვთ, გვერდით დაიყენეს. ისინი ჯერ ნაციონალებში იყვნენ, შემდეგ „ოცნებაში“ გადაბარგდნენ, ახლა მშობლიურ კერას, ნაციონალებს დაუბრუნდნენ.

– ნაცების სიებში მათ შორის ისინიც არიან, ვინც გადატრიალებაში მონაწილეობდნენ და ე.წ. სამოქალაქო ომის გაჩაღებას ხელი შეუწყვეს. მაგალითად, დილარ ხაბულიანი, დევი ჭანკოტაძე, ბუბა კიკაბიძეც ჰყავთ ნანახი ავტომატით. ნილაბი ჩამოვხსენით და კიკაბიძე იყოო. თქვენთვის მათი ნაციონალების საპარლამენტო სიაში გამოჩენა გასაკვირი იყო?

– გასაკვირი არაფერია. ეს არის ფულის ტომრების ჩართვა. თქვენ რომ მითხარით, მესამე ძალა არ არისო, მესამე ძალა იბადება იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოება თავისი კონკრეტული შემადგენლობითა და მდგომარეობით გადაწონის და გადააფასებს ამ ფულის ტომრებს, რომლებსაც უზურპირებული აქვთ სამოქალაქო-პოლიტიკური-ფინანსური სივრცე.

– სიგუამ მითხრა, ხაბულიანს თვალებში დეზოდორი შეასხეს, რასაც მისი ჯანმრთელობის გაუარესება არ გამოუწვევიაო. ამტკიცებენ, ჭანკვეტაძემ პირველმა ესროლა მთავრობის სასახლესო. როგორც ჩანს, შეგნებულ საბოტაჟთან და დანაშაუებთან გვქონდა საქმე. შს მინისტრი, რაღაც მიზეზს ამოფარებული, წესრიგის დაცვის მოვალეობას არ ასრულებდა, რამაც ქვეყანაში კატასტროფული შედეგები გამოიწვია. ეს პიროვნებები ნაცმოძრაობას არ უღალატებენ, როცა დასჭირდებათ?

– ეს უკვე დროის ფაქტორია. გააჩნია, ისინი ღალატს რას ეძახიან. ქვეყნის ღალატი კიდევ სხვაა. შეიძლება ითქვას, რომ თვითონ ნათელაშვილმა და იმ ბლოკიდან ადამიანებმა, რომლებიც დილარ ხაბულიანს ხელს ადებდნენ ასეთ საქმიანობაში, პირდაპირ განაცხადეს, რომ სააკაშვილის მხრიდან ამ ადამიანების სიაში შეყვანა ოპოზიციის ღალატია, რამაც მოახდინა ოპოზიციისა და ერთიანობის იდეის დაქსაქსვა. მან გადასწია მებრძოლი ადამიანები და ისინი ფულის ტომრებით ჩაანაცვლა.

– მანდ მხოლოდ ფულის ტომრებზე არ უნდა იყოს საუბარი.

– ფულის ტომრები და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები მედლის ორი მხარეა. სოციალური სამართლიანობის მიღწევა, ქონების თანაბრად გადანაწილება, ღირსეული ცხოვრება და არსებობის ელემენტარული პირობების შექმნა შეუძლებელია ნაძარცვი ქონებით გამდიდრებული ადამიანების პარლამენტში შესვლით. შეუძლებელია, ადამიანმა თავისი ბიზნესის ლობირებით ისეთი შედეგები დადოს, რომელიც ჩვენს შვილებს ხვალინდელი დღისა და მომავლის პერსპექტივას გაუჩენს. ამიტომ ასეთი გადაწყვეტილებები წინასწარვე განწირულია მარცხისთვის.

მარცხისთვისაა განწირული ქვეყნის პერსპექტივა, ღირსეული ცხოვრება, სოციალური სამართლიანობის აღდგენა, კონსტიტუციური წესრიგის დამყარება. ამგვარი ფასეულობები დროში გადაიწევს.

– სად არიან ეროვნული ძალები, რატომ ვერ ახერხებენ კონსოლიდაციასა და რაიმე ღირებულის შეთავაზებას საზოგადოებისთვის?

– ეროვნული ძალები დაქსაქსულია. სამწუხაროდ, მათი გაერთიანება ვერ მოხერხდა. ეს მარტივი საკითხი არ არის. ეროვნული იდეა გაიმარჯვებს იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება, იმ უბედურებებიდან გამომდინარე, რომლებიც ქვეყანას თავს დაატყდა (სამოქალაქო ომები, სამოქალაქო დაპირისპირებები), სწორ დასკვნას გამოიტანს, ეროვნული იდეალებისა და სახელმწიფოებრივი ამოცანების ჰარმონიზაციას მოახერხებს და დაარწმუნებს მოსახლეობას, რომ მას ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის კონკრეტული პროგრამა აქვს. ყველაფერი დამოკიდებულია ცალკეული პერსონების კოორდინაციაზე.

– ლიდერის პრობლემაც არის.

– დიახ, ქარიზმატული ლიდერის პრობლემაც არის და სხვა პრობლემებიც კომპლექსურად. რაც მთავარია, ხალხის მდგომარეობაა მხედველობაში მისაღები. ხალხი დაბეჩავებულია, პერმანენტული კრიზისების შედეგად პესიმიზმმა შეიპყრო, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ამ ცნობიერების უდაბნოს, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, თავს დავაღწევთ. არსებობენ ადამიანები, არსებობს ჯგუფები (მეცნიერთა და ახალგაზრდული ჯგუფები), რომლებიც იმ იდეებს ხორცს შეასხამენ, რაზეც გესაუბრეთ.

ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ვართ. 300 ათასი ოჯახი ბინიდან გამოსახლების კანდიდატია. ბანკები ყელყელაობენ. პარადოქსულია, რომ ულტრამემარჯვენე ბანკებს, რომლებიც დიდწილად ნაძარცვი ქონებითა და დანაშაულებრივი გზით არიან შექმნილი, სოციალური სამართლიანობის დამყარება უნდათ. თან ქონების შენარჩუნება უნდათ და თან ულტრამემარცხენე იდეებით გამოდიან. ეს არის ნონსენსი.

საზოგადოება იმას მაინც უნდა მიხვდეს, რომ ასეთ ადამიანებს ფართო გასაქანი არ მისცეს და პარლამენტში შევიდნენ ისეთი ძალები, რომლებსაც ქონებაწართმეული, უფლებააყრილი ადამიანების გადარჩენის მორალური უფლება გააჩნიათ და ალტერნატიულ კანონს მიიღებენ. გარკვეული სუბიექტები მთავრობის წაყრუებითა და წაქეზებით მოქმედებენ.

– წაქეზებაში რას გულისხმობთ?

– წაქეზებაა, როდესაც კაზინოები, ტოტალიზატორები, ბანკები ნაძარცვი ქონებითა და ამგვარი საშუალებებით მდიდრდებიან, ვითომ ბიუჯეტში ქონება შეაქვთ, სინამდვილეში კი შავი ფულის კიდევ უფრო გათეთრება ხდება. ეს არის წაყრუება.

ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ ბანკის შექმნა დაფუძნებული იყო მოყვასისთვის ხელის გამართვაზე, მათი მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანაზე და არა საკუთარი მოსახლეობისთვის ხაფანგის დაგებაზე, რასაც დღეს ბანკირების 99% აკეთებს. სხვათა შორის, „ქართუ ბანკს“ მათ რიგში ვერ მოვიხსენიებ, ამ ბრალს ვერ დავდებ. ეროვნული ბანკი თავის ადგილზე უნდა დადგეს, ბანკში რეფორმები უნდა გატარდეს.

პროკურატურამ დავით გარეჯის საქმეზე ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა დააკავა

ივერი მელაშვილი თავის დაკავებას პოლიტიკურ მოტივებს უკავშირებს

მთავარმა პროკურატურამ საქართველო-აზერბაიჯანის დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ივერი მელაშვილი და კომისიის წევრი ნატალია ილიჩოვა დააკავა.

შესაბამისი განცხადება უწყებაში გუშინ, 7 ოქტომბერს, გამართულ ბრიფინგზე გაკეთდა.

– დაკავებული არიან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი ივერი მელაშვილი და საქართველოს შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მთავარი ინსპექტორი ნატალია ილიჩოვა.

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, მიმდინარე წლის 17 აგვისტოს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე, უცხო ქვეყნისათვის საქართველოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემისაკენ მიმართული მოქმედების განხორციელების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, – განაცხადეს პროკურატურაში.

პროკურორ ჯარჯი წიკლაურის თქმით, ივერი მელაშვილმა და ნატალია ილიჩოვამ გამოძიებას საქმისთვის მნიშვნელოვანი კარტოგრაფიული მასალა განზრახ დაუმალეს.

პროკურორის ინფორმაციით, აღნიშნული დოკუმენტები გამოძიებამ ბრალდებულების სამუშაო ოთახებსა და მათ ბინებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოიღო.

– ჩატარდა ჩხრეკები ორივე ბრალდებულის სამუშაო ოთახებში და, შესაბამისად, მათ ბინებში. ბრალდებულ ნ.ი.-ს პირადი კაბინეტიდან ამოღებულია 1:200 000 მასშტაბის 1937-1938 წლებით დათარიღებული რუკის დედანი. ეს გახლავთ ის რუკა, რომელიც ასახავდა საქართველოს ისტორიულ საზღვარს და ყველაზე რელევანტური დოკუმენტი იყო დელიმიტაციის პროცესში. გამოძიების მიერ დადგენილია, რომ ბრალდებულები ინფორმირებულები იყვნენ ამ რუკის თაობაზე, რომ დედანი მათთვის ხელმისაწვდომი იყო და განზრახ უმალავდნენ კომისიის დანარჩენ წევრებს ამ ინფორმაციებს.

თითქმის 20 წლის განმავლობაში ეს რუკა პირადად ილიჩოვასთან ინახებოდა, თუმცა, კომისიის წევრთა არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მათ ეს რუკა არ გამოიყენეს და აპელირებდნენ, რომ ეს რუკები არ არსებობდა საქართველოში.

რაც შეეხება ი.მ-ს, მის პირად სამუშაო კაბინეტში ჩატარდა ჩხრეკა, გამოძიების პირველ ეტაპზე, ბრალდებულმა არ გადასცა 1970-80-იან წლების ბოლოს გამოშვებული ის რუკები, რომლებითაც რეალურად ხელმძღვანელობდა ბრალდებული საზღვრის გავლების პროცესში. მას შემდეგ, რაც ჩხრეკა ჩატარდა სამუშაო კაბინეტში, შემდეგ იქნა აღმოჩენილი ეს რუკები. ორივე ბრალდებულმა განზრახ დაუმალა გამოძიებას ეს მნიშვნელოვანი კარტოგრაფიული მასალა, – განაცხადა პროკურორმა.

ჯარჯი წიკლაურის ინფორმაციით, დავით გარეჯის საკითხზე გამოკითხული არიან ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები.

შეკითხვაზე, თუ რომელი ყოფილი მაღალჩინოსნები გამოიკითხნენ, პროკურორმა არ დააკონკრეტა და აღნიშნა, რომ საქმეზე სულ 60-მდე ადამიანია დაკითხული.

– საქმეზე გამოკითხული არიან მათ შორის ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები. 60-მდე პირია გამოკითხული და ბუნებრივია, ვინც ფლობს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას მოხდება ყველა ასეთი მოწმის გამოკითხვა. ვერ დავაკონკრეტებ, ვინ არიან, – განაცხადა წიკლაურმა.

რაც შეეხება აღნიშნულ საკითხთან მიხეილ სააკაშვილის შესაძლო ბრალეულობას, პროკურორმა განაცხადა, რომ გამოძიება გრძელდება და პროკურატურა მუშაობს ყველა შესაძლო ვერსიის გადამოწმებაზე.

– გამოძიება გრძელდება და ჩვენ ვმუშაობთ ყველა შესაძლო ვერსიის გადამოწმების კუთხით. რაც შეეხება ყოფილ თუ მოქმედ თანამდებობის პირებს, არ არის გამორიცხული გამოიკვეთოს სხვა პირთა პასუხისმგებლობაც. ამის წინასწარ პროგნოზირება ვერ მოხდება. რთულია პროგნოზირება, ვისი პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიკვეთოს, გამოძიება მუშაობს ყველა შესაძლო ვერსიაზე, – განაცხადა წიკლაურმა.

* * *

ივერი მელაშვილი გამოძიებასთან რაიმე ფორმით თანამშრომლობას გამორიცხავს.

აღნიშნულის შესახებ მელაშვილის ადვოკატმა ედუარდ მარიკაშვილმა ჟურნალისტებს დროებითი მოთავსების იზოლატორთან განუცხადა. მან მისი დაცვის ქვეშ მყოფი მოინახულა.

– ბატონი ივერი მელაშვილი მისთვის წარდგენილ ბრალდებას არ აღიარებს, გამორიცხავს გამოძიებასთან რაიმე ფორმით თანამშრომლობას, რადგან მისთვის ეს ყველაფერი ძალიან დიდი შეურაცხყოფაა. მისი პოზიციით, ეს ყველაფერი პოლიტიკურ მოვლენებს უკავშირდება. ეს არის მისთვის ერთადერთი ახსნა, თუ რატომ შეიძლებოდა, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულიყო და, ზოგადად, ეს საქმე წამოწეულიყო.

თვითონ, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ პროცესებში ჩართული არ არის, უბრალოდ, ეს ხელისუფლების მიერ წამოწეული თემაა, რომ არჩევნებთან მიმართებაში ახალი საკითხები შექმნას, რითაც არჩევნებს მოიგებს. ბატონი ივერი ამ ყველაფრის მსხვერპლია, ვინაიდან მას არცერთ შემთხვევაში არ აკავშირებს დანაშაულებრივი ქმედება, ის პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას და ერთადერთი ზიანი, რამაც შეიძლება სახელმწიფოს ინტერესებს მიაყენოს, არის საქმე, რომელიც პროკურატურამ წამოიწყო, ბატონი ივერის სიტყვებს გავიმეორებ – მხოლოდ იმისთვის, რომ მისი პოლიტიკური ინტერესები გაატაროს, – განაცხადა ადვოკატმა მარიკაშვილმა.

ქალმა 30 წლის კაცი თოფით მოკლა

რა მოხდა იორმუღანლოში

გუშინ, 7 ოქტომბერს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოში მკვლელობა მოხდა. არსებული ინფორმაციით, ქალმა 30 წლამდე კაცს სანადირო თოფით სასიკვდილო ჭრილობები სხეულის სხვადასხვა არეში მიაყენა. მკვლელობას წინ ურთიერთდაპირისპირება უძღოდა.

რა გახდა მკვლელობის მოტივი, ჯერჯერობით უცნობია.

შემთხვევის ადგილზე ექსპერტ– კრიმინალისტები მუშაობდნენ.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

აჭარაში პოლიციელი კოვიდ 19-ისგან გარდაიცვალა

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი, 1969 წელს დაბადებული ბ.ჯ. ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ცხელების ცენტრში გარდაიცვალა.

პოლიციის თანამშრომელს კორონავირუსით გამოწვეული კოვიდ-19 მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს დაუდასტურდა, რის შემდეგაც ის ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადიოდა მკურნალობის კურსს. მას თანმდევი დაავადებები ჰქონდა: ფილტვების პნევმონია, გულის იშემიური დაავადებები და შაქრიანი დიაბეტი.

გარდაცვლილის ცხედარი კოვიდ-19-ის რეგულაციების სრული დაცვით გადასვენებულია და დაიკრძალება დადგენილი ვადების შესაბამისად.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარი ფაქტის გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებს, ასევე თანამშრომლებს.

მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველ თემურ შუბითიძეზე თავდასხმისთვის 4 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველ თემურ შუბითიძეზე განხორციელებული ძალადობის ფაქტზე 4 პირი დააკავა.

უწყების ინფორმაციით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი 3 პირი: 1975 წელს დაბადებული დ.ქ., 1979 წელს დაბადებული მ.ჯ., 1980 წელს დაბადებული ზ.შ. და 1990 წელს დაბადებული ლ.გ., ჯგუფურად ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი, 1991 წელს დაბადებული თემურ შუბითიძე მიმდინარე წლის 30 სექტემბერს, კუთვნილი ავტომობილით ზემო ფონიჭალა-მარნეულის გზატკეცილზე მოძრაობდა, როდესაც მის ავტომანქანას უკანა მხრიდან მიზანმიმართულად შეაჯახეს „ოპელის“ მარკის ავტომობილი, რომლითაც ბრალდებულები გადაადგილდებოდნენ. მათ თემურ შუბითიძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. დაშავებული თემურ შუბითიძე სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ გადაყვანილი იქნა საავადმყოფოში, სადაც მას დაუდგინდა სახის ძვლების მრავლობითი ფრაგმენტული მოტეხილობა და ჩაუტარდა გადაუდებელი, სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურად ჩადენილ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს. დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ქართველი დედა-შვილი მოვკალი და ცხედრები დავანაწევრე“

საბერძნეთში 13 წლის წინანდელი მკვლელობისთვის პაკისტანელები დააკავეს

ქართველი დედა-შვილი, რომლებსაც 13 წლის განმავლობაში ათენში, ანო პეტრალონადან გაუჩინარებულად თვლიდნენ, პაკისტანელების მიერ მოკლული აღმოჩნდა.

რამდენიმე დღის წინ პოლიციას ანონიმურმა წყარომ აცნობა, თუ ვინ იყვნენ მკვლელობის სავარაუდო ჩამდენი პირები და გამოძიებამ მაშინვე მიაკვლია სამ კრიმინალს. აქედან ერთი პაკისტანელი ათენის ცენტრში მაღაზიებსაც ძარცვავდა. დაკავების შემდეგ მათ დანაშაული აღიარეს.

ორ პაკისტანელს ბრალად უშუალო მკვლელობა ედება, ხოლო მესამე მათ, ქართველი ქალების დახოცვის შემდეგ, კვალის დაფარვაში ეხმარებოდა.

პაკისტანის 54 წლის მოქალაქე გამომძიებელს დეტალურად უყვება დანაშაულის შესახებ.

– დანაშაულს ვაღიარებ და ძალიან ვნანობ. ნამდვილად მონანიებული მაქვს. ეს არ ყოფილა ჩემი განზრახვა, არამედ გარემოებებმა მაიძულა, მკვლელობა ჩამედინა. ვაღიარებ, რომ ანა და მისი დედა მოვკალი და რაღაც მომენტში ვფიქრობდი, ჩავბარებოდი პოლიციას, მაგრამ მეშინოდა.

ქართველი დედა-შვილი მაშანტაჟებდა. 21 წლის ანასთან 3 წელი მქონდა უკანონო ურთიერთობა და ამ დროის განმავლობაში მისთვის დაახლოებით 21.500 ევრომდე მაქვს მიცემული. მეუბნებოდა, რომ ელემენტარული საჭიროებების დაკმაყოფილება უნდოდა და ფულს მართმევდა.

თანხას როცა მთხოვდნენ, მემუქრებოდნენ, რომ თუ არ მივცემდი, ჩემს ცოლს ეტყოდნენ ურთიერთობის შესახებ, რომელიც ანასთან მქონდა. სწორედ ამიტომ ორივე სახლში დავიბარეთ, დავხოცეთ და ცხედრები დავანაწევრეთ, – ამბობს პაკისტანის მოქალაქე.

მკვლელობის შემდეგ პაკისტანელებმა სხეულების ნაწილები უბნის სხვადასხვა ურნებში ჩაყარეს.

ქართველი დედა-შვილის გაუჩინარების შესახებ განცხადება ომონიის განყოფილებაში 2007 წლის 6 ივლისს შევიდა და მას შემდეგ ორივეს დაკარგულად თვლიდნენ.

საგამოძიებო სამსახურმა სექტემბერში უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვის 31 ფაქტი გამოავლინა

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, მიმდინარე წლის სექტემბერში, საქართველოს მასშტაბით გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მარკირებას დაქვემდებარებული დიდი ოდენობით აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვის 31 ფაქტი გამოავლინეს, მათ შორის 5 ფაქტი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით ჩატარებული ღონისძიებების შედეგად გამოვლინდა.

გამოძიების პროცესში დანაშაულში მხილებული პირებისგან ამოღებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი სხვადასხვა დასახელების ჯამში 58.770 კოლოფი უაქციზო სიგარეტი.

„ამოღებული უაქციზო სიგარეტის საერთო საბაზრო ღირებულება 240.000 ლარს აღემატება. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით“, – აღნიშნულია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გარეშე უკანონო ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გარეშე უკანონო ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ცნობით, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს თანამშრომლების მიერ, თბილისში, განხორციელებული სასაქონლო ზედნადებების მონიტორინგის მიზნით, გატარებული ღონისძიების შედეგად, სამეწარმეო საქმიანობისთვის განკუთვნილი საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე – 55 კბ.მ. ხე-ტყის (პირველადი გადამუშავების პროდუქტის, დახერხილი ხის მასალა) ტრანსპორტირების ფაქტი გამოვლინდა.

მათი ინფორმაციით, სამართალდამრღვევ მოქალაქეს აღნიშნული საქონელი ჩამოერთვა.

„აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის სამმართველოს მიერ ბოლო 3 თვის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით გატარებული ღონისძიებების შედეგად ხის მასალისა და ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 17 ფაქტი გამოვლინდა, საიდანაც 13 სამართალდამრღვევ მოქალაქეს, საერთო ჯამში 300 კბ.მ. ხის მასალა ჩამოერთვა“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

დუშეთში 60 წლის ქალი მოკლეს

სავარაუდო დამნაშავე 25 წლის ბიჭია

დუშეთში, სოფელ პავლეურში, 6 ოქტომბერს, გვიან ღამით, 60 წლამდე ასაკის ქალი მოკლეს. ადგილობრივების ინფორმაციით, სავარაუდო დამნაშავე 25 წლის ბიჭია, რომელიც ძალადობრივ ქმედებებში ადრეც იყო შემჩნეული.

როგორც „მთავარს“ ადგილობრივები უყვებიან, სავარაუდო დამნაშავის ძველ დანაშაულებს პოლიციის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

მკვლელობის მოტივი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ადგილობრივები ფიქრობენ, რომ მოტივი ძარცვა, ქურდობა ან ყაჩაღობა ვერ იქნებოდა, რადგან მოკლული მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობდა.

შსს-მ მომხდარზე გამოძიება 108-ე, განზრახ მკვლელობის მუხლით დაიწყო. ამ ეტაპზე უცნობია, არის თუ არა სავარაუდო დამნაშავე დაკავებული. როგორც პრესცენტრში ამბობენ, მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

არაოფიციალური ინფორმაციით, გარდაცვლილი და სავარაუდო დამნაშავე მოგვარეები იყვნენ.

სომხეთი: „მთიანი ყარაბაღის არმიამ აზერბაიჯანის საწვავის ბაზა გაანადგურა“

მთიანი ყარაბაღის არმიამ აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების საწვავის ბაზა გაანადგურა.

ამის შესახებ სომხეთის თავდაცვის სამინისტროს პრესსპიკერმა შუშან სტეპანიანმა განაცხადა.

სომხური მედია ფოტოებსა და ვიდეომასალას აქვეყნებს, სადაც, შუშან სტეპანიანის განმარტებით, აღნიშნული ბაზის განადგურებაა ასახული.

სომხეთის პრეზიდენტი არმენ სარქისიანი მიიჩნევს, რომ ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც თამაშიდან გავა თურქეთი.

– ამჟამად ყარაბაღში რეალური ომია, რომლისთვისაც აზერბაიჯანი და თურქეთი დიდი ხანია ემზადებოდნენ. ცეცხლის შეწყვეტა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე მოთამაშე გავა თამაშიდან, – განაცხადა პრეზიდენტმა რუს ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

მისი თქმით, კონფლიქტში ანკარის ჩართულობის გამო ეს ქვეყანა ვერ იქნება შუამავალი ყარაბაღის პრობლემის დარეგულირების საკითხში.

სარქისიანის თქმით, თურქეთის ყოფნა აზერბაიჯანში აკნინებს ამ ქვეყნის სუვერენიტეტს, თუმცა ეს თავად აზერბაიჯანელების საქმეა.

– ეს ყველაფერი ნეგატიურად მოქმედებს რეგიონზე, მთლიანად ცვლის სურათს კავკასიაში, ვითარება გადაჰყავს სხვა გეოპოლიტიკურ დონეზე, სადაც მთავარი ღერძი ხდება თურქეთი, – განაცხადა სომხეთის პრეზიდენტმა და დასძინა, რომ საერთაშორისო შუამავლებმა თურქეთი უნდა დაარწმუნონ, რომ რეგიონის კონფლიქტიდან გავიდეს.

აზერბაიჯანის გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, 27 სექტემბრიდან, მას შემდეგ, რაც მთიან ყარაბაღში კონფლიქტის ესკალაცია განხორციელდა, გარდაცვლილთა რაოდენობა 28-მდე გაიზარდა, დაჭრილია 144 ადამიანი.

„სომხური მხრიდან დასახლებული პუნქტების დაბომბვის შედეგად 27 სექტემბრიდან დღემდე დაღუპულია 28, ხოლო 144 სამოქალაქო პირი დაჭრილია“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

მისივე ინფორმაციით, დაზარალდა 66 სამოქალაქო ობიექტი და 427 საცხოვრებელი სახლი.

არაღიარებული მთიანი ყარაბაღის ინფორმაციით კი აზერბაიჯანთან ბრძოლას კიდევ 40 სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ამის შესახებ ინფორმაციას სომხური მედია ავრცელებს.

27 სექტემბრის შემდეგ კონფლიქტის შედეგად დაღუპული სამხედროების რაოდენობა 280-მდე გაიზარდა.

ბაიდენი: „თუ ტრამპი კოვიდით იქნება ინფიცირებული, ჩვენი დებატები არ გაიმართება“

აშშ-ის პრეზიდენტობის დემოკრატი კანდიდატი ჯო ბაიდენი აცხადებს, რომ 15 ოქტომბრისთვის მიამიში დაგეგმილი დებატები არ გაიმართება, თუკი აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ისევ კორონავირუსით იქნება ინფიცირებული.

– თუ მას კიდევ კოვიდი ექნება, დებატებს არ გავმართავთ. მოუთმენლად ველი დებატებს, თუმცა, იმედი მაქვს, ყველა პროტოკოლი დაცული იქნება, – განაცხადა ბაიდენმა.

ბაიდენის განცხადებაზე კომენტარებისას დონალდ ტრამპის პრესსპიკერმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი გამოჯანმრთელებული იქნება და დებატებში მონაწილეობას მიიღებს.

ბრიუსელში ბარები და კაფეები 1 თვით იხურება

ბრიუსელში კორონავირუსის გამო 8 ოქტომბრიდან ბარები და კაფეები 1 თვით იხურება.

ბელგიის დედაქალაქში მოქალაქეებს ღია სივრცეებში ალკოჰოლის დალევაც აეკრძალებათ.

აღსანიშნავია, რომ ბელგიის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სამშაბათიდან ქვეყანაში კორონავირუსთან დაკავშირებული ზომები გამკაცრდა, რომლის ფარგლებშიც ბარები ღამის 11 საათზე იხურება, აკრძალულია 4-ზე მეტი ადამიანის ოჯახში სტუმრობა, კაფეს ერთ მაგიდასთან ჯდომა და ღია სივრცეში შეკრება.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ბრიუსელში 27 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის პერიოდში ყოველდღიურად საშუალოდ კორონავირუსის 2.466 ახალი შემთხვევა ფიქსირდებოდა, რაც წინა კვირის მონაცემებზე 57%-ით მეტია.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის 27 დედაქალაქს შორის ბრიუსელი ერთ სულ მოსახლეზე გამოვლენილი ინფიცირების შემთხვევებით მადრიდის შემდეგ მეორე ადგილზეა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საზოგადოება

შოთა იათაშვილმა პირველი რომანი დაწერა



პოეტმა შოთა იათაშვილმა პირველი რომანი დაწერა, რომლის პრეზენტაციაც მკითხველისთვის უახლოეს დღეებში გაიმართება. წიგნი უკვე დაბეჭდილია, რომლის რედაქტორიც თამარ ჟურულია, ხოლო ყდის დიზაინერი – ნატალია ავალიანი.

ეს არის უმნიშვნელოვანესი სიახლე ლიტერატურულ ცხოვრებაში – ცნობილი პოეტისა და კრიტიკოსის, შოთა იათაშვილის, პირველი რომანი „დამწყები“ – მაქსიმალისტური რომანია.

რომანს წარადგენს მწერალი დავით ქართველიშვილი:

– „დამწყები“ ათწლეულების განმავლობაში მივიწყებული ჟანრის, საგანმანათლებლო რომანის აღორძინების მნიშვნელოვანი და მხატვრულად წარმატებული ნიმუშია. ასეთი ტექსტები დაბადებისთანავე კლასიკად იქცევა ხოლმე.

შოთა იათაშვილის „დამწყები“ უცნაური, დროიდან ამოვარდნილი და, ამავე დროს, ძალიან დროული რომანია. ის ფორმის თვალსაზრისით საერთოდ არ არის უცნაური და საგანმანათლებლო რომანის საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებს, აგრძელებს ერთგულად და, ამავე დროს, აუცილებელი, გარდაუვალი განსხვავებებითაც. საგანმანათლებლო რომანებისთვის, ტრადიციულად, ორი მთავარი პერსონაჟია დამახასიათებელი: მასწავლებელ-მოსწავლის ტანდემი. ამ მხრივ „დამწყები“ განსხვავდება თავისი წინამორბედებისაგან.

ეს ერთი ადამიანის მიერ სამყაროს მაქსიმალურად შემეცნების მცდელობაა, მაგრამ მთავარი საშიშროება, რაც ასეთ ტექსტს შეიძლება დამუქრებოდა, ვგულისხმობ მოსაწყენ, არაფრისმთქმელ ეგზისტენციურ ბოდვას, თავიდანაა აცილებული, ანუ ეს არის ერთი ადამიანის გადაწყვეტილება, შეიმეცნოს სამყარო თავისთავად და არა საკუთარი თავი, არა სამყარო დატიოს საკუთარ თავში, არამედ თავად დაეტიოს სამყაროში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჟურნალი

„მის სამყაროს“ ფავორიტი ფარულ გარიგებაშია ეჭვმიტანილი

სილამაზის კონკურს „მის სამყარო-ტაილანდის“ ფავორიტი ორგანიზატორებთან ფარულ გარიგებაშია ეჭვმიტანილი.

სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა კონკურსის მონაწილე ჩაიატანუს სარადატი, რომელიც ტაილანდში რეფორმების მომხრეთა შორის პოპულარობით სარგებლობს. პროტესტის მრავალი მონაწილე იზიარებს მის პოლიტიკურ შეხედულებებს და მიიჩნევს, რომ მას ქვეყნის პრეზიდენტად გახდომის შანსი აქვს.

სარადატი უპატიოსნო თამაშში დაადანაშაულეს, როდესაც ცნობილი გახდა, რომ მისი მენეჯერი იმ კომპანიაში მუშაობს, რომელიც „მის სამყარო-ტაილანდს“ ატარებს. მისი მეტოქეების აზრით, ორგანიზატორებს შორის თანამგრძნობის დახმარებით მან დაუმსახურებელი უპირატესობა მიიღო.

ბრალდების საპასუხოდ კომპანიის პრეზიდენტმა სარადატს კონკურსში მონაწილეობაზე საკუთარი ნებით უარის თქმისკენ მოუწოდა და ურჩია, ბედი მომავალ წელს ცადოს.

ოთხმეტრიანი ალიგატორი ნავს ორი საათი მიათრევდა

ამერიკის არკანზასის შტატში მდებარე ტბა მერისაჩზე მონადირეებმა დაიჭირეს ოთხმეტრიანი ალიგატორი და შტატის რეკორდი მოხსნეს.

შაბათ დილით ტრევის ბირდენი მამა გერისთან, ძმა კოდისთან და მეგობარ ტომი კელისთან ერთად ნადირობდა. ბირდენმა ალიგატორი შენიშნა და მათ რეპტილია ჰარპუნით დაჭრეს.

უზარმაზარი ალიგატორი ორ საათზე მეტი ხნის განმავლობაში მიათრევდა მონადირეებით სავსე ნავს მთელ ტბაზე, სანამ საბოლოოდ ბირდენმა ის ზუსტი გასროლით არ მოკლა.

ალიგატორის სიგრძემ ოთხი მეტრი შეადგინა, ხოლო წონამ – 362 კილოგრამი. მონადირეებმა მოკლული ცხოველი დამტვირთველი მანქანის დახმარებით ასწიეს და მასთან ფოტოსურათები გადაიღეს.

მამაკაცი შეცდომით ნავიდან წყალში უზარმაზარ ზვიგენთან ერთად საცურაოდ გადახტა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ენსინიტასში მამაკაცმა ვიდეოზე გადაიღო, თუ როგორ გადახტა ნავიდან ოკეანეში მისი მეგობარი, როდესაც იქ უზარმაზარი ზვიგენი შენიშნა. აღნიშნული ვიდეორგოლი ვიდეოპლატფორმა ტიკტოკზე გამოქვეყნდა.

მეგობრებმა ჩათვალეს, რომ მათ ნავთან სრულიად უსაფრთხო, უზარმაზარი ვეშაპისებური ზვიგენი მიცურდა და მასთან ერთად ცურვა გადაწყვიტეს. კადრებში ჩანს, თუ როგორ გადახტა ოკეანეში ახალგაზრდა მამაკაცი, მაგრამ მაშინვე ამოყვინთა და სასწრაფოდ ნავისკენ გამოცურა. როდესაც მან წყალქვეშ უზარმაზარ თევზს შეხედა, მიხვდა, რომ მის წინ დიდი თეთრი ზვიგენი იყო, რომელიც ასევე კაციჭამია ზვიგენის სახელითაა ცნობილი.

– ეს ძალიან ცუდი იდეა იყო, – განაცხადა ოკეანეში გადამხტარმა ახალგაზრდამ, როდესაც უკან, ნავთან მიცურდა. კადრს მიღმა ისმის ხმები, თუ როგორ ურჩევენ მას მეგობრები, რომ წყლიდან სასწრაფოდ ამოვიდეს.

– მე მას შევეხე, ეშმაკმა დალახვროს, – დაიძახა მოცურავემ, – ეს სულაც არ არის ის უზარმაზარი ზვიგენი.

ჯალეიდოსკოპი

შიშველი მამაკაცი პითონს კნუტის გადასარჩენად შეებრძოლა

დასავლეთ ავსტრალიის შტატის კიმბერლის ოლქის მკვიდრი შიშველი მამაკაცი უზარმაზარ პითონს თავისი კნუტის გადასარჩენად შეებრძოლა.

ინციდენტი მიმდინარე წლის აპრილში მოხდა, თუმცა მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი. ნიკ კერნს საკუთარ სახლში ეძინა. ის შეყვარებულის ყვირილმა გააღვიძა. აღმოჩნდა, რომ 2,5 მეტრი სიგრძის პითონი მათი სახლის ბაღში თავს დაესხა კნუტს. ქვეწარმავალი მას შემოეხვია და გადაყლაპვას უპირებდა.

კერნი გარეთ შიშველი გავარდა და კნუტს დასახმარებლად მიეჭრა. მან რამდენიმე წლის წინ გველებთან მოპყრობის საგანგებო კურსები გაიარა.

სანამ მის შეყვარებულს პითონი კუდით ეჭირა, მან ქვეწარმავალს ხელი სტაცა და შეეცადა, კნუტი მისთვის გამოეგლიჯა.

– ძალიან მცირე დრო მქონდა, ვხედავდი, რომ კნუტი უკვე იგუდებოდა, – განაცხადა კერნსმა.

როდესაც ავსტრალიელმა კნუტი გველის მარწუხებისგან გაათავისუფლა, პითონმა მას მარჯვენა ხელში უკბინა. მან მხოლოდ ორთაბრძოლის შემდეგ შენიშნა, რომ ირგვლივ მისი სისხლის გუბე იდგა.

– არ შემეძლო, უბრალოდ მდგარიყავი და მეყურებინა, როგორ შეჭამდა ჩემს კნუტს პითონი, – აღნიშნა ავსტრალიელმა.

ტბაში ჩავარდნილმა მოზარდმა თევზი შიშველი ხელებით დაიჭირა

ამერიკის ალასკის შტატში მოზარდი ტბაში ჩავარდა და თევზი შიშველი ხელებით დაიჭირა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

19 წლის ეიდან გრუნო ტბაზე მეგობართან, 18 წლის ქრისტიან კომპტონთან ერთად იმყოფებოდა. მოულოდნელად გრუნოს ფეხი აუსრიალდა და ტბაში ჩავარდა. სწორედ ეს მომენტი მოხვდა ვიდეოში, რომელსაც მისი მეგობარი იღებდა.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ჩაყვინთა ბოლომდე წყალში მოზარდმა. ამ დროს ვიდეოს ავტორი იცინის და ყვირის: „ოჰ, არა!“ რამდენიმე წამის შემდეგ გრუნო წყლიდან ამოყვინთავს და ღრმად ჩაისუნთქავს. ის მეგობარს უყვირის: „ბიჭო, თევზი დავიჭირე!“ ყელამდე წყალში მდგომმა გრუნომ წყლიდან თევზი ამოიყვანა. ამაზე მის მეგობარს ეცინება.

– არ ვიცი, ეიდანმა როგორ მოახერხა ამის გაკეთება. მან მითხრა, რომ უბრალოდ ჩავარდა და ამ დროს თევზს სტაცა ხელი. მანამდე შიშველი ხელებით თევზი არასოდეს დაუჭერია, – განაცხადა კომპტონმა.

ლომმა ზოოპარკის თანამშრომელი დაკბინა

სენეგალში ზოოპარკის თანამშრომელმა გადაწყვიტა, დამთვალიერებლებზე მოეხდინა შთაბეჭდილება და ამისთვის შეეცადა, ვოლიერის გარედან მოჰფერებოდა მტაცებელს, მაგრამ ლომმა მას ხელზე უკბინა. ზოოპარკის თანამშრომელი შეეცადა, ლომისთვის თავში ჩაერტყა, ხოლო დამთვალიერებლებმა ქვების სროლა დაუწყეს, თუმცა ლომმა მის ხელს პირი მაშინვე არ გაუშვა. ამ შემთხვევის ამსახველ კადრებში ჩანს, რომ მტაცებელმა მამაკაცს კინაღამ ხელის მტევანი მოაწყვიტა.

დაშავებულს სამედიცინო დახმარება დასჭირდა, თუმცა უცნობია, მოხერხდა თუ არა მისთვის ხელის შენარჩუნება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

ხვიჩა კვარაცხელია – 15 მილიონი, გიორგი ჩაკვეტაძე – 7 მილიონი

ყველაზე ძვირადღირებული ქართველები

სულ ცოტა ხნის წინ ქართველ ფეხბურთელთაგან ყველაზე მაღალი სატრანსფერო ფასი გიორგი ჩაკვეტაძეს ედო. მისი ტრანსფერი დღესაც 6-7 მილიონ ევროდ ფასდება. ამ ფასს კი ორ-ნახევარჯერ გადაასწრო ხვიჩა კვარაცხელიამ.

ყაზანის რუბინი რუსული პრემიერლიგის უმჯობეს ახალგაზრდად მიჩნეულ ქართველს 15 მილიონ ევროზე ნაკლებად არ შეელევა. ყველაზე კომიკური ისაა, რომ მსურველთა შორის მოსკოვის ლოკომოტივია პირველი, რომელსაც ხვიჩა იქვე ჰყავდა და წინა სეზონში უფასოდ გაუშვა. მიზეზი? რკინიგზელები ხვიჩას 1+3 ტიპის კონტრაქტს და იმ პირველი გამოსაცდელი წლის სათადარიგო გუნდში გატარებას უპირებდნენ.

ამ დროს გამოჩნდა ყაზანური კლუბი 5-წლიანი სრულფასოვანი კონტრაქტით და ქართველიც იქ დაფრინავს.

როგორც ვთქვით, რუბინი ხვიჩას 15 მილიონ ევროდ აფასებს. გიორგი ჩაკვეტაძის ფასი იგივე დარჩა – 7 მილიონის ფარგლებში. დაახლოებით 2 მილიონით დაიწია საბა კვირკველიას ფასმა – ვოლგოგრადის როტორში გაიჯარებული ქართველი ახლა 4-5 მილიონი ღირს. მე-4 ადგილზე დონეცკის შახტარის მცველი დავით ხიჭოლავაა, რომელსაც კლუბი 4 მილიონ ევროზე ნაკლებად არ შეელევა.

ექსპერტთა აზრით, 5-6 ადგილებს უფაში მყოფი ჯიმი ტაბიძე და როტორელი ზურიკო დავითაშვილი იყოფენ – 2,5 მილიონი ევრო. მე-7 და მე-8 გიორგი ქვილითაია (ანართოსისი) და ოთარ კიტეიშვილი (შტურმი) არიან – სატრანსფერო ფასი 2 მილიონი ევრო. მეცხრეა ტულის არსენალის მცველი გია გრიგალავა 1,8 მილიონი ევროთი, ათეულს კი ვაკო ყაზაიშვილი ხურავს, რომლის გადაბირებაც 1,5 მილიონ ევროდ არის შესაძლებელი.

რუსებს მესხზე უმაყურებლოდ დავუხვდებით

რაგბი ევროპის ჩემპიონატის გადადებული, ბოლო ტურის მატჩების გამართვის დრო და ადგილი დადგინდა – საქართველოს ნაკრები პირველ ნოემბერს რუსეთს ვაკეში, „მიხეილ მესხზე“ უმასპინძლებს. თამაში 15 საათზე დაიწყება და მაყურებელი შეხვედრას ვერ დაესწრება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებისთვის რუსეთთან დაპირისპირებას სატურნირო მნიშვნელობა აღარ აქვს – „ბორჯღალოსნებმა“ ბოლოსწინა ტურში გაიფორმეს ჩემპიონობა, მაგრამ მატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთისთვის. არის მეტოქისთვის იმის საფრთხე, რომ რაგბი ევროპის ჩემპიონატის ელიტიდან გავარდეს. რუსები თუ საქართველოსთან ბონუსის გარეშე წააგებენ, ყველაფერი დამოკიდებული იქნება რუმინეთისა და ბელგიის დაპირისპირებაზე, რომელიც იმ დროს იწყება, როდესაც თბილისური მატჩის შედეგი ცნობილი იქნება.

შეგახსენებთ, რომ რაგბი ევროპის 2020 წლის ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებს 19 ქულა აქვს და ყველასთვის მიუღწეველია. შემდეგ მოდიან: პორტუგალია (9); ესპანეთი (9); ბელგია, რუსეთი (7); რუმინეთი (5).

უშუალო დაპირისპირებაში ბელგიას რუსეთი 38:12 ჰყავს დამარცხებული.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ბარსელონის ყველაზე ცუდი 10 ტრანსფერი

ბარსელონა სატრანსფერო ბაზარზე ყოველთვის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე იყო. თუმცა შეუცდომელი არავინ არის და კატალონიელებმა ბოლო წლებში ბევრი გამოუსადეგარი ტრანსფერი განახორციელეს, თუმცა არც ადრე აკლებდნენ.

ესპანურმა მედიამ გამოაქვეყნა კლუბის ბოლოდროინდელ ისტორიაში 10 ყველაზე ცუდი შენაძენი.



დმიტრო ჩიგრინსკი,
შახტარიდან, 25 მილიონ ევრო

2009 წელს ბარსამ დაცვის ცენტრის გაძლიერება გადაწყვიტა და დონეცკის შახტარის უკანახაზელი დმიტრო ჩიგრინსკი 25 მილიონ ევროდ შეიძინა. რა თქმა უნდა, ყველას გაუკვირდა მისი ფასი, რადგან კლასის მიხედვით ის ამდენი არ ღირდა.

საბოლოოდ, გულშემატკივართა მოლოდინი გამართლდა და ჩიგრინსკის ბარსელონური კარიერა კრახით დასრულდა – 14 ჩატარებული მატჩის შემდეგ უკრაინელი მცველი უკან, დონეცკში დაბრუნდა.

აღექსანდრ გლები,
არსენალიდან, 17 მილიონ ევრო

2008 წელს ბარსას ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი ლონდონის არსენალის ბელორუსი შემტევი ალექსანდრ გლები იყო, რომელიც 17 მილიონად იქნა შეძენილი. საკმაოდ ნორმალური სტარტის შემდეგ ფეხბურთელმა მძიმე ტრავმა მიიღო, რომლის მოშუშებასაც დიდი დრო დასჭირდა. შემდეგ ფორმის აღდგენაც გაიწელა.

ჩავის, ინიესტას, კეიტას, ანრისა და სხვების ფონზე გლებმა ის დონე ვერ აჩვენა, რომელსაც კლუბი ელოდა. შემადგენლობაში მისი ადგილი აღარ რჩებოდა და ნელ-ნელა ყველაფერი ნათელი იყო. ბელორუსი შემტევი შტუტგარტში გადაბარგდა, რის შემდეგაც მისი გვარი არც ისე შესამჩნევი გახდა.

ემანუელ პეტი,
არსენალიდან, 14 მილიონ ევრო

2000 წელს ლონდონის არსენალიდან 14 მილიონის სანაცვლოდ ემანუელ პეტი შეიძინა. თავად პეტი აღნიშნავს, რომ მისი ყველაზე დიდი შეცდომა, „ჰაიბერის“ „კამპ ნოუში“ გაცვლა იყო. საკუთარ ბიოგრაფიულ წიგნში ფეხბურთელი ამბობს, რომ მისთვის გაუგებრად რჩებოდა, თუ რომელ პოზიციაზე თამაშობდა გუნდში.

ემანუელ პეტიმ ბარსას მაისურით მხოლოდ 38 მატჩში მიიღო მონაწილეობა, ისიც ძირითადად სკამიდან. მან კატალონია მალევე დატოვა და ლონდონის ჩელსის შეუერთდა.

აღექს სონგი,
არსენალიდან, 19 მილიონ ევრო

2012 წელს ბარსამ არსენალის მორიგი ფეხბურთელი შეიძინა – 19 მილიონი ევროს სანაცვლოდ კამერუნელი საყრდენი ალექს სონგი დაიმატა, მაგრამ დონე ვერ დააკმაყოფილა და სათადარიგოთა სკამზე ღრმად გაიდგა ფესვები.

კატალონიაში თავიდან მიაჩნდათ, რომ სონგის შეძენით მათ მადრიდის რეალზე მეტად იხეირეს, თავად მადრიდელებმა პარალელურად ღუკა მოდრიჩი გაიფორმეს. ვინ როგორ იხეირა, მგონი, თავადაც კარგად ხვდებით...

ზლატან იბრაჰიმოვიჩი,
ინტერიდან, 69.5 მილიონ ევრო

2009 წლის 26 ივლისს გასული სეზონის ტრიუმფატორმა და 6-დან 6 ტიტულის მომგებმა ბარსელონამ მეგატრანსფერი განახორციელა და ინტერიდან ზლატანი გაიფორმა.

ბევრისთვის ამ ტრანსფერი დეტალები მიუღებელი იყო, რადგან კლუბმა იბრას სანაცვლოდ 20 მილიონი და სამუელ ეტოო გადაიხადა. კამერუნელი ბარსას ლეგენდა გახლდათ და მის მიმართ ასე მოპყრობა ნამდვილად უსამართლო იყო.

იბრას კატალონიური კარიერა არც ისე ცუდად დაიწყო. გუნდმა მისი გოლით „ელ კლასიკოც“ მოიგო, მაგრამ ეს სეზონი გარდამტეხი გახლდათ, რადგან მესი „ცრუ ცხრიანის“ პოზიციაზე თამაშს სულ უფრო მეტად ეჩვეოდა და იბრასთვის მოედანზე სივრცე აღარ რჩებოდა.

შედეგად, ზლატანის შედეგიანობამ იკლო. ჩემპიონთა ლიგაზე ინტერის წინააღმდეგ ჩატარებული ორი უფერული მატჩი პეპ გვარდიოლასთვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა და მან ზლატანის გაყიდვა გადაწყვიტა.

ხდა თუხანი,
ატლეტიკოდან, 35 მილიონ ევრო

2015 წლის ზაფხულში ბარსელონამ ფორმის პიკში მყოფი არდა თურანი გაიფორმა. იქიდან გამომდინარე, რომ თურანი ძირითადის მოთამაშედ არ განიხილებოდა და რეალურად არც ყოფილა, მისი ბარსელონური მონაგარი არც ისე ცუდად გამოიყურება: 55 მატჩი, 15 გოლი და 11 საგოლე გადაცემა.

მესი, ნეიმარი, სუარესის ტრიოს ფონზე თურანს ძირითადად სკამზე ჯდომა უწევდა. აქედან გამომდინარე, მწვრთნელმა მისი „გადაკეთება“ მოინდომა და საკმაოდ ხშირად ლუის ენრიკე მას მოედნის ცენტრში ათამაშებდა, რაც დიდი შეცდომა იყო.

ანდრე გომეში,
ვალენსიიდან, 36 მილიონ ევრო

პორტუგალიელი ნახევარმცველი 2016 წლის ზაფხულში ბარსამ ვალენსიისგან დიდი იმედებით იყიდა. მესი, ნეიმარი, სუარესის შემხედვარე კლუბი ცდილობდა, ნახევარდაცვის ხაზი გაეძლიერებინა, რომ გუნდი უფრო სრულყოფილი გამხდარიყო, თუმცა ბართომეუ და მისი გუნდი უკვე მცდარ გზაზე იდგნენ და ამას ყველა ამჩნევდა.

გომეშის ტრანსფერი კატალონიურმა გამოცემებმა დიდი სიამაყით გამოაცხადეს, სათაურებად გამოიტანეს, რომ მათ რეალს ბოლო მომენტში აჯობეს და ფეხბურთელი ცხვირწინ ააცალეს.

78 მატჩი, 3 გოლი და 4 საგოლე გადაცემა – ასეთი იყო გომეშის ბარსელონური კარიერა, რის შემდეგაც მან თავისი კალიბრის გუნდს მიაშურა და ამჟამად „ევერტონის“ ღირსებას იცავს.

ფელიპე კოუტინიო,
ლივერპულიდან, 145 მილიონ ევრო

2018 წლის 6 იანვარს ბარსელონამ დიდი წვალებისა და ომის შემდეგ ლივერპულიდან ფილიპე კოუტინიო გაიფორმა. ტრანსფერი ზაფხულში უნდა შემდგარიყო, თუმცა ინგლისელებმა მოლაპარაკებები გაართულეს და, ფეხბურთელის სურვილის მიუხედავად, ის მაინც არ გაყიდეს. ყველას კარგად ახსოვს კოუტინიოს რეაქცია ამ ყველაფრის შესახებ – ბრაზილიელმა ამბის გაგების შემდეგ იტირა.

საბოლოოდ მოსახდენი მაინც მოხდა და ლივერპულმა ბრაზილიელი 145 მილიონად დათმო, რითიც თუ ვინმემ ისარგებლა, ეს მხოლოდ „ენფილდის“ ბინადრები იყვნენ. ამ თანხით კლუბმა ვან დეიკი შეიძინა და, ზოგადად, ფული საკმაოდ ჭკვიანურად გამოიყენა.

საბოლოოდ ბარსელონამ 145 მილიონად ნაყიდი ფეხბურთელი გაანთხოვრა და ისტორიაში უცნაური პრეცედენტი შექმნა – სადაც გაანთხოვრა (ბაიერნი), იმ გუნდმა ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ხოლო ლივერპულს ბონუსები ბარსელონამ გადაუხადა.

პაკო ალკასერი,
ვალენსიიდან, 30 მილიონ ევრო

2015-18 წლებში ბარსელონის ხელმძღვანელობამ დიდი რაოდენობით უაზრო ტრანსფერები განახორციელა, მათ შორის იყო პაკო ალკასერიც, რომელიც გუნდს 2016 წელს შეუერთდა.

კატალონიელებს ისეთი ფორვარდი სჭირდებოდათ, რომელიც მათ სტილს მოერგებოდა და თან კლასიც საკმაოდ ექნებოდა, ამავდროულად, თადარიგში ჯდომასაც არ ითაკილებდა და ეს პაკო აღმოჩნდა.

საბოლოოდ ალკასერმა მოლოდინი ვერ გაამართლა. მისი უნარები გუნდს არ გამოადგა. 50 მატჩში 15 გოლი და 8 საგოლე გადაცემა და ესპანელმა კარიერა დორტმუნდში გააგრძელა.

სიტეი მელო,
გრემიოდან, 31 მილიონ ევრო

2018 წელს ბარსამ გრემიოდან ახალ ხავიდ შერაცხული არტურ მელო შეიძინა, რომელმაც ქომაგების გული მალევე მოინადირა.

არტური ბურთს ჩინებულად ფლობდა და მას პრაქტიკულად არ კარგავდა. მისი მოძრაობები ჩავის სტილს ძალიან წაგავდა. საბოლოოდ ნელ-ნელა გამოჩნდა, რომ ეს უბრალოდ მორიგი „ფეიკ“ ვერსია იყო. ბრაზილიელი ტრავმებისკენ ძალიან იყო მიდრეკილი. დემბელეს შემდეგ გუნდში ყველაზე მეტ ტრავმას იღებდა.

რაც შეეხება მის თამაშს, არტურს მოედნის ცენტრიდან კრეატიულობა და თამაშში სიმწვავის შეტანა ევალებოდა, რასაც მისგან ძალიან, ძალიან იშვიათად ვხედავდით. არტურს სითამამე ძალიან აკლდა, ნაკლებად რისკავდა და 90 წუთს მოედანზე ძალიან იშვიათად ატარებდა. ამ ყველაფერმა კლუბს მის მიმართ არსებული იმედები გადაუწურა. შემდეგ რაც მოხდა, ყველამ კარგად ვიცით – ბრაზილიელი მირალემ პიანიჩში გაიცვალა.

74 მატჩი, 4 გოლი და 6 საგოლე გადაცემა – არტურმა ბარსელონაში სულ ეს მოასწრო.

ისტორიული მატჩის მოლოდინში

2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით უნდა შევიდეს. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი სურვილი გვაქვს. საერთოდ, ქართული ფეხბურთი და გულშემატკივართა ოცნება ძალიან ხშირად აცდენილია, მაგრამ ამჯერად ჩვენს ეროვნულ გუნდს ამის უფლება არ აქვს.

ასე ახლოს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპთან არასდროს ვყოფილვართ. საამისოდ 8 ოქტომბერს „დინამო არენაზე“ ბელარუსის ნაკრები უნდა დავამარცხოთ, ხოლო 12 ნოემბერს ჩრდილოეთ მაკედონიასა და კოსოვოს შორის უმჯობესსაც უნდა ვძლიოთ. რთული ამოცანა არ არის. მეტიც, თუ საერთოდ რამეზე პრეტენზიას ვაცხადებთ, ამაზე უნიკალური შანსი როდის მოგვეცემა, არავინ იცის.

ეს შანსი კი უეფამ მოგვცა – ევროპის მთავარმა საფეხბურთო ორგანომ ახალი ტურნირი, ერთა ლიგა ჩამოაყალიბა და მეტი ხიბლი რომ მიეცა, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურებით დატვირთა. უეფამ ერთა ლიგა დივიზიონებად დაჰყო და ყველა მათგანის გამარჯვებულს „ასაჩუქრებს“. ჩვენ ბოლო, მე-4 დივიზიონში აღმოვჩნდით, რომლის ჯგუფური ეტაპი მოვიგეთ, ახლა ჯერი ფლეი ოფებზეა.

ამ დღეს 26 წელია ველოდებით. პირველი მცდელობა 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა იყო, დღევანდელი გადასახედიდან, აღბათ, ყველაზე წარმატებული, რადგან ჯგუფში მე-3 ადგილი დავიკავეთ (მსგავსი შედეგი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზეც ვაჩვენეთ) და მას შემდეგ ყოველთვის უკეთესის მოლოდინი გვაქვს. თუმცა აქამდე ყველა მორიგი მცდელობა ჩანასახშივე იყო განწირული.

ახლა კი შანსი ნამდვილად არის... საქართველოს ნაკრებმა ყველა ძველი წყენა დაგვავიწყოს და ახალი ფურცელი ჩაწეროს ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

სუფთა ფურცელზე წერას კი ბელარუსით ვიწყებთ, რომელიც ერთობ უხერხული მეტოქეა. ჩვენს მომავალ მოწინააღმდეგესთან აქამდე სამჯერ გვითამაშია. ერთად მოვხვდით 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფში. თბილისში თორნიკე ოქრიაშვილის გოლით 1:0 ვიმარჯვეთ, მინსკში კი, ბელარუსებმა რევანში აიღეს – რენან ბრესანისა და სტანისლავ დრაგუნის გოლებით 2:0 მოგვიგეს. კიდევ ერთი მატჩი ამხანაგური იყო – 2017 წლის ნოემბერში ქუთაისში, ფრედ, 2:2 დასრულდა. ჩვენგან გოლები ირაკლი სიხარულიძემ და ლაშა დვალმა გაიტანეს, ხოლო ბელარუსთაგან – იგორ სტასევიჩმა და პაველ ნიხაიჩუკმა.

მოკლედ, მეტოქე ისეთი სუსტიც არ არის, რომ თავს დამშვიდების უფლება მივცეთ.

ბელარუსის ნაკრების უპირატესობა, რაზეც მთელი წლის განმავლობაში ქართველი ფეხბურთელები, მწვრთნელები, ექსპერტები და საფეხბურთო სამყაროს წევრები საუბრობდნენ, გუნდის შეთამაშებულობა და ფიზიკური მომზადების მაღალი დონეა. ეს ყველაფერი იქიდან გამომდინარეობს, რომ გუნდის წევრების 80% შიდა ჩემპიონატში თამაშობს. ბელარუსის ნაკრები, შიდა ბირთვის გარდა, 2 ქვეყანაში (რუსეთი, ყაზახეთი) მოთამაშე ლეგიონერებითაა დაკომპლექტებული.

საქართველოსთან გასამართ შეხვედრაში გუნდს გამოკვეთილი ლიდერი და მოქმედ ფეხბურთელებს შორის საუკეთესო ბომბარდირი (11 გოლი) სტანისლავ დრაგუნი დააკლდება. მიზეზი თითქოს კორონავირუსია, მაგრამ ფეხბურთელი კლუბში ვარჯიშობს, ამიტომ მის ნაკრებში არყოფნას საფუძვლად უფრო პოლიტიკური სარჩული უდევს.

საქართველოს ნაკრებს კი გულშემატკივარი დააკლდება. მიუხედავად იმისა, რომ უეფას რეკომენდაციით სტადიონის ტევადობის 30 პროცენტს მატჩზე დასწრების უფლება აქვს, ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტრომ ეს არ გაითვალისწინა და ბელარუსებს უმაყურებლოდ დავუხვდებით. არადა, ტრიბუნა ასეთ დროს მნიშვნელოვანი ფაქტორია.

შედეგები

6 ოქტომბერი

ჩოგბურთი

ხოლან გახოსი

კაცები

შვარცმანი-ტიმი 7:6,5:7,6:7,7:6,6:2
სინერი-ნადალი 6:7,4:6,1:6

ქალები

სვიტოლინა-პოდოროსკა 2:6,4:6
შვიატეკი-ტრევიზანი 6:3,6:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე გივი ფხაკაძე, შვილი სოფიო, რძალი მანანა ყიფიანი, სიძეები გოჩა სიამაშვილი, გელა კანდელაკი, შვილიშვილები თამარი, ანა, გიორგი, მარია, რძალი სალომე კანდელაკი, შვილთაშვილები ელენე, ალექსანდრე, მძახალი გულნარა ყიფიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ნელი დავითის ასულ გოგბერაშვილი-ფხაკაძის

გარდაცვალებას

პანაშვიდი: ხუთშაბათს, პარასკევს;
გამოსვენება: შაბათს, 10 ოქტომბერს, 3 საათზე;
მისამართი: სულხან ცინცაძის 5, მე-4 სადარბაზო, მე-7 სართული.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ქართული ტელეკომპანია; 2. რაიმე მოვლენის ასახსნელად წამოყენებული მეცნიერული ვარაუდი; 3. ფრანგული საიუველირო ფირმა; 4. კუნძული წყნარ ოკეანეში, სადაც განთავსებულია ამერიკული საზღვაო-საჰაერო სამხედრო ბაზა; 5. ფიცხი, ტემპერამენტიანი ადამიანი; 8. ქუჩის მუსიკოსების სახელწოდება საფრანგეთში; 12. ინდოეთის დედაქალაქი; 13. ჰავაის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი; 14. კათოლიკე მღვდელი პოლონეთში; 16. მარიამ ღვთისმშობლის სახელწოდება სვანეთში; 18. თაფლითა და ქიშმიშით შეზავებული მოხარშული ხორბალი; 20. ოფიციალური დოკუმენტი.

თარაზულად: 6. შნო, მოხერხება; 7. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 8. იაპონური ციფრულ-ლოგიკური თავსატეხი; 9. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 10. შვეიცარიელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 11. სასჯელი ქურდობისთვის ძველად საქართველოში; 15. საზაფხულო აგარაკების სახელწოდება ნიდერლანდებში; 17. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 19. ქანების სანგრევი რკინის წვეტიანი იარაღი; 21. რომან „კუკარაჩას“ პერსონაჟი; 22. მდინარე გურიაში; 23. ღვინის წვრილ-ყელიანი თიხის სასმისი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კოპოლა; 2. თუნი; 3. ჩატურანგა; 4. ფლეში; 5. გონდოლა; 8. დუქანი; 9. მიხაილოვო; 12. ჰენესი; 14. ლაღიძე; 16. ალილო.

თარაზულად: 1. კართოტეკა; 6. ვატერლოო; 7. პრუდონი; 9. მედუზა; 10. ფინო; 11. კარწახი; 13. ტოლმა; 15. დევიზა; 17. ბაირალი; 18. ველენი; 19. ტანძია; 20. ჯოკონდა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გობსეკი; 2. ხაბელოვი; 3. საბენა; 4. ბამბა; 5. ჯაბადარი; 8. ვერდიქტი; 12. როჭო; 13. ელდორადო; 14. ინდიგო; 16. დებიუტი; 18. შანხაი; 20. გალო.

თარაზულად: 6. ფონოთეკა; 7. ავადჰარა; 8. ვენერა; 9. ხეპრე; 10. ხოჭოლავა; 11. ჰიდრანტი; 15. გლინტვეინი; 17. თორაძე; 19. გრიგოლეთი; 21. ბარცინო; 22. კონტრალტო; 23. გოდერძი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2170

ევრო — 3.7803

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1364

100 რუსული რუბლი — 4.1009

ამინდის პროგნოზი 8 ოქტომბრისათვის

იუმორი

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– აი, ამ ადამიანს ხედავ ფოტოსურათზე?

– კი, ვხედავ.

– ჰოდა, საღამოს 6 საათზე საბავშვო ბაღიდან წამოიყვან.

●●●

ქმარი პარიზიდან ცოლს ურეკავს და ეკითხება:

– ქალო, ჩვენი მეზობელი სეროჟა გაძარცვეს?

– არა, რატომ მეკითხები?

– რატომ და მაგას სამზარეულოში რომ ჯოკონდა ეკიდა, აქ ვნახე, ლუვრში...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– უკვე ხელები დამეღალა!

– ბიჭო, შენ ვერც კი წარმოიდგენ, როგორი ორაზროვანი ფრაზა თქვი.

– არა, შენ ვერ გამიგე, უბრალოდ, მეგობარს ვეხმარები...

●●●

მოხუცი ქალი გინეკოლოგთანაა მიღებაზე. ექიმმა გულმოდგინედ გასინჯა, ვერანაირი დარღვევა ვერ აღმოუჩინა და ეკითხება:

– კი მაგრამ, ბებო, რა გაწუხებთ?

– კბილი მტკივა, კბილი.

– თავიდან რატომ არ მითხარით, ხომ უყურებდით, სადაც გსინჯავდით.

– შვილო, აბა, საიდან უნდა მცოდნოდა, იქ რას ეძებდი? იქნებ კბილის ფესვს ეძებდი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იურგენ კლოპი: „კორონავირუსთან ბრძოლა უნდა გავაგრძელოთ“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა კორონავირუსზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს დაავადება ყველა ადამიანის პრობლემაა და ფეხბურთელები გამონაკლისები არ არიან.

კლოპის აზრით, მაყურებლის სტადიონზე დაშვება ჯერჯერობით ნაადრევია:

– მინდა, ისევ ვიხილო მაყურებელი ტრიბუნაზე, მაგრამ ჯერჯერობით ამის გაკეთება არ შეიძლება, რადგან ვირუსი კვლავინდებურად საშიშია. ლივერპულის რამდენიმე ფეხბურთელს დაუდგინდა ეს დაავადება და ჩვენ კარგად ვიცით, რომ სიფრთხილე გვჭირდება.

პოჩეტინო, შესაძლოა, მანჩესტერ იუნაიტედის მწვრთნელი გახდეს

მაურისიო პოჩეტინო კარიერას, სავარაუდოდ, ინგლისში გააგრძელებს და მას მანჩესტერ იუნაიტედს აქტიურად უკავშირებენ. ტოტენჰემთან 1:6 წაგების შემდეგ ოლე გუნარ სოლსკიაერის პოზიციები სერიოზულად შეირყა და მის შესაძლო წასვლაზე უკვე ხშირად საუბრობენ.

თვითონ სოლსკიაერი ამ ინფორმაციას უარყოფს, მაგრამ მანჩესტერის ხელმძღვანელობა მისი მუშაობით უკმაყოფილოა. პოჩეტინომ იუნაიტედში მუშაობისთვის მზადყოფნა გამოთქვა.

მოდრიჩი: „გარეტ ბეილი ძალიან კარგი ადამიანია“

მადრიდის რეალის ხორვატმა ნახევარმცველმა ლუკა მოდრიჩმა თავის ყოფილ თანაგუნდელ გარეტ ბეილზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ძალიან კარგი ადამიანია და პრესაში მასზე ხშირად ტყუილები იწერება:

– გარეტი კარგად საუბრობს ესპანურად და ვარჯიშებზე ხშირად ხუმრობდა ხოლმე. რასაც მასზე კითხულობთ, დიდი ნაწილი სიმართლე არ არის. მომავალში მხოლოდ წარმატებას ვუსურვებ, რადგან ამას იმსახურებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

წამლის საყიდლად წასული მამაკაცი მილიონერი გახდა



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ შარლოტას მკვიდრი წამლის საყიდლად წავიდა და ლატარიაში მილიონი დოლარი მოიგო.

კერძო იპოთეკური ბანკირი პატრიკ ბარდიკი მაღაზიაში მისთვის გამოწერილი წამლის საყიდლად წავიდა და გადაწყვიტა, მომენტალური ლატარიის გათამაშებაში მიეღო მონაწილეობა. მან ავტომატიდან 10– დოლარიანი ბილეთი შეიძინა.

როდესაც მამაკაცი მანქანაში ჩაჯდა და ლატარიის ბილეთზე დამცავი შრე გადაფხიკა, დაინახა წარწერა „მილიონი დოლარი“ და იმავე წამს ჩაილაპარაკა: „ცხოვრება შეიცვალა“.

მოგებული ფულით ამერიკელი ავტომობილის კრედიტის დაფარვასა და სხვა ანგარიშების გასტუმრებას, ხოლო დარჩენილი თანხის ინვესტირებას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„მასტერშეფი“ ნანუ მაცაბერიძემ დატოვა

„მასტერშეფის“ მეოთხე სეზონის პირველივე საკონკურსო ტური ნანუ მაცაბერიძემ დატოვა. მისი კერძი ჟიურისთვის ყველაზე ცუდი აღმოჩნდა.

შოუს ჟიურიმ ლუკა ნაჭყებიამ, ლევან კობიაშვილმა და კონსტანტინე თედელურმა ჩათვალეს, რომ ყველაზე ცუდი კერძები გაიანე კარაპეტიანმა და ნანუ მაცაბერიძემ მოამზადეს. გავარდნის კონკურსანტებიდან კი შოუ ნანუს დაატოვებინეს.

„მასტერშეფის“ პირველ საკონკურსო ტურში პირველი იმუნიტეტი ლუკა თოდუამ მოიპოვა.

მიხეილ მდინარაძე: „თბილისი მემორიალური დაფების სამშობლოა“

ასე მიაჩნია კომპოზიტორ მიხეილ მდინარაძეს და თავის მოსაზრებას ქართველების თვისებით – ცოცხლებშიც მკვდრების ძიებით ამყარებს:

– შეგახსენებთ, რომ საქართველო და კერძოდ მისი დედაქალაქი, თბილისი, მემორიალური დაფების სამშობლოა. აქ ცოცხლებშიც მკვდრებს ეძებენ და თანატოსს ეტრფიან, ამიტომ ნუ გიკვირთ, რომ ჩვენთან ყველაფერი წარსულშია. აწმყო და მით უმეტეს მომავალი უამრავი ფობიისა და სკეფსისის საფუძველია, ხოლო წარსული – დიდებული.

ამიტომ ნუ გიკვირთ, იქ, სადაც მკვდარი უფრო უყვართ, ვიდრე ცოცხალი, წარსული უფრო ფასობს, ვიდრე მომავალი, ყველაფერი ლოგიკურად ვითარდება. გიხაროდენ, გიხაროდენ.

ხატია წერეთელმა „დამალული“ შვილი გამოაჩინა

მომღერალმა ხატია წერეთელმა „დამალული“ შვილი გამოაჩინა და მასზე განმარტებებიც გააკეთა:

– სოცქსელში გაჩნდა ფრაზები, რომ მე შვილს „ვმალავდი“. მაგრად ვიხარხარე.

უბრალოდ, მე არ ვარ ის დედა, 24 საათი მარტო შვილის ქებადიდებაში რომ არის. მირჩევნია, ის დრო ისევ მას დავახარჯო, თუმცა დავაკმაყოფილებ საზოგადოების ერთი ნაწილის ცნობისმოყვარეობას – გაიცანით ჩემი ერთადერთი შვილი, 16 წლის ასაკში გავაჩინე, ფაქტობრივად ბავშვმა, ერთად გავიზარდეთ და არავინ არ გვყავს ერთმანეთზე უკეთესი არც მეგობარი, არც ახლობელი.

პოზიტიური ტიპია გართობისას, თუმცა ზედმეტად სერიოზულია საქმის კეთებისას. ძალიან შრომისმოყვარე, ნიჭიერი და განათლებულია, მიღებული აქვს ქართული და ევროპული განათლება. ზუსტად ამიტომ არ ჩანდა, რომ ევროპაში ცხოვრობდა. ნამდვილი ევროპელი დემოკრატია, ზუსტად იცის, სად გამოხატოს პროტესტი, რეალისტია, აქვს კარგი გემოვნება, გურმანიც არის და კარგი კულინარიც, როცა სცალია.

ჩემთვის არანორმალურად მაგარი შვილია, თბილი, წარმატებული. მიხარია, რომ 22 წლის ასაკში ის უკვე ერთ-ერთი ძლიერი კომპანიის აღმასრულებელი დირექტორია და ამ ყველაფერს თავისით მიაღწია. ჩემი ერთადერთი დამსახურება მისთვის განათლებაში ხელის შეწყობა და აღზრდაა.

ყინწვისში თამარ მეფის უნიკალურ ფრესკას წაშლა ემუქრება

დეკანოზი ილია ჭიღლაძე ინტერნეტში ავრცელებს ინფორმაციას, რომ ყინწვისის მონასტერში თამარ მეფის უნიკალურ ფრესკას გაცრეცა-წაშლის საფრთხე ემუქრება:

– სამწუხაროა, რომ წმინდა თამარის უნიკალური ფრესკა ჩამოსაჯდომ-მისაყუდებელ ადგილად უქცევიათ ყინწვისის მონასტრის დღევანდელ მწყემსებს.

როგორ დაგვიქვეითდა გრძნობა, მოწიწება და გონიერება, ერთია. მეორე ის, რომ ამით ფრესკის ქვედა ნაწილის გაცრეცა-წაშლის საფრთხე შეიქმნა.

არ დასრულდა თვითნებური და უგუნური თვითშემოქმედება ყინწვისის მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ მონასტერში.

თაკო მელიქიშვილისთვის მომღერლები საქველმოქმედო კონცერტს ჩაატარებენ

13 ოქტომბერს რესტორანში „ვეფხი და მოყმე“ ქართული ესტრადის ცნობილი წარმომადგენლები საქველმოქმედო კონცერტს ჩაატარებენ.

საღამო მათი კოლეგის, მომღერალ თაკო მელიქიშვილის დასახმარებლად ჩატარდება. თაკოს 4 წლის შვილს, რატის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და უწყვეტ თერაპიულ დახმარებას საჭიროებს. 2 შვილის მარტოხელა დედას კი ამ ყველაფერთან მარტო გამკლავება არ შეუძლია.

თაკოსა და მისი პატარა რატის დასახმარებლად იმღერებენ მერაბ სეფაშვილი, ნოდიკო ტატიშვილი, თემურ თათარაშვილი, მაკა ზამბახიძე, ლაშა ღლონტი, სოფო ბედია და დათო ხუჯაძე.

გიორგი კეკელიძემ 12 წლის თიკა თედორაძეს სტიპენდია დაუნიშნა

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ ხელვაჩაურში სტიქიას შეწირული ოჯახის ერთადერთ გადარჩენილ წევრს, 12 წლის თიკა თედორაძეს, გურული დღიურების ფონდის სტიპენდია დაუნიშნა:

– ხელვაჩაურში სტიქიას შეწირული ოჯახიდან ცოცხალი მხოლოდ 12 წლის თიკა თედორაძე დარჩა.

გოგონას დეკემბრიდან გურული დღიურების ფონდის სტიპენდიას დავუნიშნავთ და მერეც სულ მივადევნებთ თვალ-ყურს – თიკა საუკეთესო განათლებას მიიღებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

8 ოქტომბრისათვის

ვერძი – წინააღმდეგობრივი დღეა. პოზიტივი და ნეგატივი ერთმანეთს ენაცვლება. დიდ გეგმებს ნუ შეიმუშავებთ. **კურო** – საკუთარ თავისუფლებას ნურაფერზე გაცვლით. ინტუიცია არ გიღალატებთ. **ტყუპები** – ზნეობრივი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. შეუვალობა და უკომპრომისობა სავალდებულოა. **კირჩხიბი** – შორს გამგზავრება სხვა დროისათვის გადადეთ. დაუმთავრებელი საქმეები დღეს უნდა დაასრულოთ. **ლომი** – ახალი წამოწყება არ გაამართლებს. დროს ფუჭად ნუ გაფლანგავთ. **ქალწული** – კონფლიქტი გელით ახალგაცნობილ ადამიანებთან. ნებისმიერი ურთიერთობისას დიპლომატიურობა გმართებთ. **სასწორი** – დღის პირველ ნახევარში სიურპრიზს ელოდეთ. მიღებული ინფორმაცია დიდად არ გაგახარებთ. **ღრიანცელი** – წინასწარ ნურაფერს მოიმოქმედებთ. მოსალოდნელია ახალი, პერსპექტიული შემოთავაზება. **მშვილდოსანი** – პატიოსნება, ზნეობა და შინაგანი თავისუფლება დღის დევიზია. აკეთეთ ის საქმე, რომელიც კარგად გამოგდით. **თხის რქა** – მიღებული ინფორმაცია გეგმებს ძირფესვიანად შეგიცვლით. ნებისმიერი ურთიერთობა სიდინჯესა და შორსმჭვრეტელობას მოითხოვს. **მერწყული** – ენერგეტიკულად საკმაოდ მძლავრი დღეა. შემოსავალს მხოლოდ ძველი საქმეების დამთავრება მოგიტანთ. **თევზები** – ნერვებს გაუფრთხილდით. ენერგია დაზოგეთ. ნუ აჰყვებით ჭორებსა და ცრუ განგაშს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. მოთელილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 2. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 3. გერბების შემსწავლელი დისციპლინა; 4. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 5. ცხვრის ხორცისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 8. საჩუქრად მირთმეული რამე; 9. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 12. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 14. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 16. საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი.

თარაზულად: 1. ქართული მინერალური წყალი; 6. ისტორიული სასტუმრო ნიცაში; 7. ზიარებისთვის განკუთვნილი ოქროს ან ვერცხლის სასმისი ეკლესიაში; 9. ტყავის დამზადების ოსტატი; 10. ტბა გაგრის მახლობლად; 11. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 13. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 15. მწვავე ირონია; 17. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 18. შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული სტილი დასავლეთ ევროპაში; 19. ქრისტიანთა „საღმრთო წიგნი“; 20 მდგომარეობა კრივში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა